

ჰოლოკოსტის ისტორიული, მემორიალური ადგილებისა და მუზეუმების მონახულება ადამიანის უფლებებისა და ღირსების პერსპექტივიდან

სახელმძღვანელო პრინციპები მასწავლებლებისთვის

TOLI

ავტორი: ოანა ნესტიან-სანდუ

ავტორი მადლობას უხდის ოლგა ლენგიელის ჰოლოკოსტის კვლევისა და ადამიანის უფლებების ინსტიტუტის (TOLI) შემდეგ თანამშრომლებს, პარტნიორებსა და მასწავლებლებს შენიშვნების, შესწორებებისა და მხარდაჭერისთვის:

ოანა ბაჟკა, დირექტორის მოადგილე, საერთაშორისო პროგრამა, TOLI
ტენა ბანჯეგლავი, დირექტორის მოადგილე, განათლება და განვითარება, საერთაშორისო პროგრამა TOLI
მიქაელ ფრანკე, განათლების სპეციალისტი
ანდრეა ზონი, დირექტორი, Zachor Foundation for Social Remembrance
TOLI-ის ჯგუფი, რომელიც 13 ქვეყნის 30 მასწავლებლისა და პარტნიორისგან შედგებოდა, რომლებიც დაესწრნენ 2025 წლის აპრილში დახაუში გამართულ საერთაშორისო სემინარს: ინგრიდ ალექსოვიჩი (უნგრეთი), პეტრა ბარანოვა (სლოვაკეთი), დუშიცა ბიშევაცი (სერბეთი), ერიონა ბისოკუ (ალბანეთი), ფელისია ელენა ბოშკოდეალა (რუმინეთი), ჯენი კატალანო (იტალია), ნინო ჩიხლაძე (საქართველო), რომა დიქტარაიტე (ლიეტუვა), ბილიანა დრობნიაკი (სერბეთი), მათაიოს ფუფუდაკისი (საბერძნეთი), ლილიანა გარსია გარსია (ესპანეთი), ანელია გროზდანოვა (ბულგარეთი), ალკიდა ჰიდრი (ალბანეთი), კლაუდია ლორედანა ჰორჟეა (რუმინეთი), პაულა ივანოვა (ბულგარეთი), ვალერია იაკუპეც-ზვონარი (ხორვატია), ჟელკა იოვანოვაცი (ხორვატია), რუსუდან კარკაძე (საქართველო), ნივეს კრალი კოვაჩიჩი (ხორვატია), ბრისეიდა ლალა (ალბანეთი),კატარინა ლაზიუკი (პოლონეთი), ამილია მაკრაკი (საბერძნეთი), მარია ვინჩენცა მატეუჩი (იტალია), რიტა მესკიენე (ლიეტუვა), ნათია ნაცვლიშვილი (საქართველო), ლუცია ობრინოვა (სლოვაკეთი), კარმენ ალექსანდრა სტადოლეანუ (რუმინეთი), მარია სტოიანოვიჩი (სერბეთი), ინგრიდა ვილკიენე (ლიეტუვა), მარტა ვაშელევსკა (პოლონეთი).

გამოქვეყნებულია TOLI-ის - ოლგა ლენგიელის ჰოლოკოსტის კვლევისა და ადამიანის უფლებების ინსტიტუტის მიერ, 2025
58 E 79 Street, New York, New York, 10075 www.tolinstitute.org

ქართული გამოცემა მომზადდა განათლებისა და კვლევების ცენტრის მხარდაჭერით. ქართულ თარგმანზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება ქართულ მხარეს.

განათლებისა და კვლევების ცენტრი, 2025

TOLI - ოლგა ლენგიელის ჰოლოკოსტის კვლევისა და ადამიანის უფლებების ინსტიტუტი
შესაძლებლობას აძლევს მასწავლებლებს შეისწავლონ ჰოლოკოსტის ისტორია და მისი მნიშვნელობა ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის კონტექსტში დღეს. TOLI შთაგონებულია ჰოლოკოსტის გადარჩენილის, ოლგა ლენგიელის მემკვიდრეობით და უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების პროგრამებს შეერთებულ შტატებში, ევროპასა და ლათინურ ამერიკაში. იგი ქმნის პედაგოგთა პროფესიულ საზოგადოებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ ასწავლონ ემპათიით, სიზუსტის დაცვითა და ადამიანის ღირსების პატივისცემით. TOLI მხარს უჭერს მასწავლებლებს სემინარების, გრანტებისა და საერთაშორისო ქსელების მეშვეობით, მოსწავლეების გასაძლიერებლად, რათა მათ შეძლონ წარსულის აწმყოსთან დაკავშირება და პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა უფრო სამართლიანი და ინკლუზიური საზოგადოებების შესაქმნელად.

ამ მასალებზე მოქმედებს CC BY-NC ლიცენზია და მათი გამოყენება, გაზიარება ან ადაპტირება ნებადართულია ავტორისა და TOLI-ის მითითებით, არაკომერციული მიზნებისთვის. მასალების გამოყენება უფასოდ არის შესაძლებელი საგანმანათლებლო ან არაკომერციულ საქმიანობაში, თუმცა აკრძალულია გაყიდვა ან მოგებაზე ორიენტირებული გამოყენება.

ISBN 978-1-972926-10-9

სარჩევი

შესავალი . . . 5

რატომ არის მნიშვნელოვანი ისტორიული, მემორიალური ადგილებისა და მუზეუმების მონახულება ადამიანის უფლებების პერსპექტივიდან? . . . 7

ისტორიული ადგილების, მემორიალებისა და მუზეუმების მონახულების დაგეგმვა და ორგანიზება ადამიანის უფლებათა პერსპექტივიდან . . . 9

ვიზიტამდე . . . 10

- კომუნიკაცია მშობლებთან და მეურვეებთან . . . 10
- მოსწავლეთა საფუძვლიანი მომზადება ვიზიტის წინ . . . 10
- ქცევა და პრაქტიკული საკითხები . . . 11
- ემოციური მომზადება და მხარდაჭერა . . . 12
- მასწავლებლის მომზადება . . . 12

ვიზიტის განმავლობაში . . . 14

- არჩევისა და რეფლექსიისთვის სივრცის დატოვება . . . 14
- კონსტრუქციული რეაგირება ემოციურ რეაქციებსა და არასათანადო ქცევაზე . . . 14
- ადამიანის ღირსების დაცვა წარსულის შესწავლის პროცესში . . . 14

ვიზიტის შემდეგ . . . 16

- საწყისი რეფლექსია ადგილზე . . . 16
- ემოციის აღიარება . . . 16
- გააზრების გაგრძელება კლასში . . . 16
- პასუხისმგებლობის ჩამოყალიბება . . . 17
- მოსწავლეთა გაძლიერება ხსოვნის ელჩებად და აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბების მიზნით . . . 17

მემორიალებისა და მუზეუმების მონახულების დროს რეკომენდებული აქტივობები . . . 18

A. ისტორიული ფაქტების განხილვა ადამიანის უფლებების ჩარჩოს კონტექსტში . . . 18

- სამუშაო ფურცელი: ადამიანის უფლებებზე დაკვირვების გზამკვლევი მემორიალში/მუზეუმში ვიზიტისთვის . . . 20

B. ისტორიასთან კავშირის დამყარება პირადი ისტორიების მეშვეობით . . . 21

- სამუშაო ფურცელი: პირად ისტორიაზე დაკვირვების ფურცელი . . . 23

C. ადამიანის ქცევის შესწავლა ჰოლოკოსტის დროს . . . 25

- სამუშაო ფურცელი: დაკვირვების გზამკვლევი- ადამიანის ქცევის შესწავლა ჰოლოკოსტის დროს . . . 27

D. გააზრების თემატური მიმართულება . . . 28

- სამუშაო ფურცელი: დაკვირვება თემატურ მიმართულებებზე . . . 30

დამატებითი რესურსები . . . 31

ტერმინთა განმარტება . . . 32

შესავალი

წინამდებარე რესურსი შეიქმნა TOLI-ის ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში მოღვაწე პროფესიონალ პედაგოგთა დასახმარებლად, რომელთაც გამოთქვეს პრაქტიკული და კარგად გააზრებული ინსტრუმენტების მოძიების სურვილი, ჰოლოკოსტის მემორიალებსა და მუზეუმებში მოსწავლეთა ვიზიტის ნაყოფიერების ასამაღლებლად. ამ მასწავლებლების მიზანი იყო გასცდენოდნენ ტრადიციულ მეთოდებს, ამიტომ მოითხოვეს სახელმძღვანელო რეკომენდაციები ასეთი ვიზიტების განსახორციელებლად TOLI-ის ინტერდისციპლინური მეთოდოლოგიის გამოყენებით, რომელიც აერთიანებს განათლებას ჰოლოკოსტის შესახებ, ადამიანის უფლებათა და ინტერკულტურულ განათლებას, რათა ხელი შეუწყოს კრიტიკული აზროვნების, ემპათიისა და აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციის ჩამოყალიბებას.

დღესდღეობით, ევროპის 15-ზე მეტ ქვეყანაში მოქმედებს მზარდი ქსელი, რომელიც TOLI-ის ადგილობრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო პარტნიორობით განხორციელებული ეროვნული სემინარების კურსდამთავრებულ 2 000-ზე მეტ განათლების სპეციალისტს ითვლის. საწყისი სწავლების შემდეგ სპეციალისტები აგრძელებენ უწყვეტ პროფესიულ განვითარებას TOLI-ის საგრანტო პროგრამაში (Impact Grant Program), ტრანსნაციონალურ სემინარებსა და პრაქტიკოს სპეციალისტთა ეროვნულ და ევროპულ გაერთიანებებში აქტიური მონაწილეობით, რაც გრძელვადიან გავლენას ახდენს ევროპის ქვეყნების საკლასო ოთახებსა და საზოგადოებებზე.

ეს გზამკვლევი დამატებითი რესურსია სახელმძღვანელოსთვის - *„წარსულის გაკვეთილები, ქმედება მომავლისთვის - ინტერდისციპლინური მიდგომა ჰოლოკოსტის, ადამიანის უფლებებისა და ინტერკულტურული განათლების მიმართ“*[1], რომელიც ითვალისწინებს სასწავლო გეგმებსა და პედაგოგიკურ სტრატეგიებს საკლასო მუშაობისთვის. სახელმძღვანელო აყალიბებს კონცეპტუალურ საფუძველს, ხოლო წინამდებარე გზამკვლევი ყურადღებას ამახვილებს უშუალოდ ადგილზე ვიზიტის საგანმანათლებლო პოტენციალზე. იგი იძლევა პრაქტიკულ რეკომენდაციებს ვიზიტის მოსამზადებლად, განსახორციელებლად და მიღებულ გამოცდილებაზე სამუშაოდ. ეს უნდა განხორციელდეს გააზრებულად, პატივისცემით და მოსწავლეებისთვის ეფექტურად.

ჰოლოკოსტთან დაკავშირებულ ადგილებში საგანმანათლებლო ვიზიტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ისტორიული ცოდნის გაღრმავების, მეხსიერების შენარჩუნებისა და სამოქალაქო თუ მორალური რეფლექსიის ხელშეწყობის თვალსაზრისით. გადარჩენილთა რიცხვის შემცირების პარალელურად, ამ ადგილების მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება. ისინი რჩებიან ისტორიის მუდმივ მოწმეებად - სივრცეებად, რომლებიც ინახავენ მეხსიერებას მაშინ, როდესაც უშუალო მოწმეებისგან ინფორმაციის მიღება უკვე შეუძლებელი ხდება. ჰოლოკოსტის დიდი მუზეუმისა თუ მცირე ზომის ადგილობრივი მემორიალის შემთხვევაში, ასეთი ვიზიტის გავლენა დამოკიდებულია გააზრებულ დაგეგმვასა და მომზადებაზე. სწორედ ამიტომ, არსებითად მნიშვნელოვანია ვიზიტის მიზნის შესახებ მკაფიო სასწავლო ამოცანებისა და შედეგების შემუშავება. წინამდებარე გზამკვლევი ეხმარება პედაგოგებს ისეთი შინაარსიანი სასწავლო გამოცდილების შექმნაში, რომელიც დაეფუძნება ადამიანის უფლებათა შესახებ განათლების პრინციპებს და ხელს შეუწყობს მოსწავლეებს წარსულში მომხდარი უსამართლობის დღევანდელ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებასა და საკუთარი როლის გააზრებაში ადამიანის ღირსების დასაცავად.

ამ გზამკვლევში წარმოდგენილი პრინციპები დაეხმარება პედაგოგებს, რომლებიც ჰოლოკოსტთან დაკავშირებული ადგილების (დიდი მემორიალური დაწესებულებები, ყოფილი გეტოები ან მცირე სამახსოვრო ადგილები, მაგალითად, დეპორტაციის ნიშნულები ან „შტოლპერშტაინები“) მონახულებას მოსწავლეებთან ერთად გეგმავენ, გააზრებული, პატივისცემაზე დაფუძნებული და საგანმანათლებლო თვალსაზრისით შინაარსიანი ვიზიტების განხორციელებაში.

გზამკვლევი ორი ურთიერთშემავსებელი ნაწილისგან შედგება. პირველ ნაწილში მოცემულია პედაგოგებისთვის განკუთვნილი ზოგადი რეკომენდაციები, ჰოლოკოსტთან დაკავშირებულ მემორიალურ ადგილებსა და მუზეუმებში ვიზიტის მომზადების, განხორციელებისა და შემაჯამებელი განხილვისთვის. იგი ქრონოლოგიურად შეესაბამება ვიზიტის ეტაპებს (ვიზიტამდე, ვიზიტის დროს და ვიზიტის შემდგომი პერიოდები) და ითვალისწინებს ლოგისტიკური და ემოციური მზაობის უზრუნველყოფის, ადგილზე შინაარსიანი ჩართულობის ხელშეწყობის, ასევე შემდგომში გააზრებისა და ნასწავლის განმტკიცების სტრატეგიებს.

1 სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია 12 ენაზე: https://www.toli.us/european-seminar-handbooks/

მეორე ნაწილი წარმოადგენს კონკრეტული აქტივობების კრებულს, რომელთა გამოყენება მასწავლებელს ვიზიტის ფარგლებში შეუძლია. თითოეულ აქტივობას თან ახლავს მზა სამუშაო ფურცელი, რომელიც პირდაპირ მოსდევს აღწერას და განკუთვნილია მოსწავლეთა დაკვირვების, გააზრებისა და დისკუსიის ხელშესაწყობად. ამ მასალის გამოყენება შესაძლებელია არსებული ან ადაპტირებული სახით მოსწავლეთა ასაკის, კონტექსტისა და საჭიროებების შესაბამისად. აქტივობები და სამუშაო ფურცლები ერთად ქმნიან პრაქტიკულ ინსტრუმენტებს, რომლებიც დაეხმარება პედაგოგებს გააზრებული, ეფექტიანი და ადამიანის უფლებებსა და ღირსებაზე დაფუძნებული ვიზიტების მომზადებაში.

გზამკვლევის ბოლოს დართულია ლექსიკონი, რომელიც მოიცავს შემდეგი საკვანძო ტერმინების განმარტებებს: ისტორიული ადგილი, მემორიალური ადგილი, განათლება ადამიანის უფლებების შესახებ, დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები და ჰოლოკოსტთან დაკავშირებული ფაქტების დამახინჯება.

რატომ არის მნიშვნელოვანი ისტორიული, მემორიალური ადგილებისა და მუზეუმების მონახულება ადამიანის უფლებების პერსპექტივიდან?

ჰოლოკოსტის ისტორიული ადგილების, მემორიალებისა და მუზეუმების მონახულება მხოლოდ ისტორიაში მოგზაურობა არ არის. ასეთი ვიზიტი ადამიანის უფლებებსა და ადამიანის ღირსების საყოველთაო ღირებულებებზე დაფუძნებულ უმნიშვნელოვანეს საგანმანათლებლო გამოცდილებადაც შეიძლება იქცეს. მართალია, ეს ადგილები კაცობრიობის ისტორიის ყველაზე ბნელი პერიოდების მოგონებებს ინახავს, მაგრამ შესაძლებლობასაც გვაძლევს, რომ წარსულის გააზრებით ხელი შევუწყოთ პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას აწმყოსა და მომავალში.

განუზომელი ადამიანური ტანჯვის - ჰოლოკოსტის ტრაგედია მილიონობით ადამიანის ძირითადი უფლებებისა და ღირსების სისტემატური უგულებელყოფის შედეგი იყო. პირველ რიგში იგი შეეხო ებრაელებს, რომლებიც ტოტალური განადგურების სამიზნედ იქცნენ, მაგრამ ასევე შეეხო ბოშებს (რომა, სინტი), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ლგბტქ+ პირებს, იეჰოვას მოწმეებს, პოლიტიკურ ოპონენტებსა და ე. წ. ასოციალურ პირებს, ე. ი. ყველა ისეთ ადამიანს, რომელიც არ შეესაბამებოდა საზოგადოების ნაცისტურ ხედვას.

თუ ამ ადგილებს ადამიანის უფლებების პერსპექტივიდან შევხედავთ, შეიცვლება ისტორიის, როგორც შორეული მოვლენის აღქმა. ისტორია იქცევა აწმყოს განუყოფელ ნაწილად და მოქმედებისაკენ მოწოდებად. იგი წარსულ უსამართლობას თანამედროვე პრობლემებთან აკავშირებს, გვაიძულებს კრიტიკულად გავიაზროთ რა პირობებში გახდა შესაძლებელი ასეთი დანაშაულების ჩადენა და როგორ შევძლებთ ამ პირობების თავიდან აცილებას მომავალში. არსებობს ცდუნება, რომ ჰოლოკოსტი ანტისემიტიზმის „ბოლო თავად“ განვიხილოთ, მაგრამ სინამდვილეში იგი მომდევნო ათწლეულებშიც გაგრძელდა და შემაშფოთებელია, რომ დღესაც არ კარგავს აქტუალობას. წლების განმავლობაში ანტისემიტიზმი ადაპტირდა, ისევ იჩინა თავი და დღესაც უქმნის საფრთხეს ებრაულ თემებს. ანალოგიურად, რასიზმი ბოშათა მიმართ, რომელიც ნაცისტური გერმანიისა და მის მოკავშირეთა იდეოლოგიისა და პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი იყო, დღესაც არსებობს ევროპაში. ამასთან, იგი ხშირად უგულებელყოფილია ან უმნიშვნელოდ არის წარმოჩენილი. ჰოლოკოსტის მემორიალები და მუზეუმები გვაიძულებს ვაღიაროთ ეს სახიფათო უწყვეტობა და გავიგოთ, რომ სტერეოტიპები, შეთქმულების თეორიები და ადამიანების დეჰუმანიზება, რამაც განაპირობა ჰოლოკოსტი, არ გამქრალა. წარსულის გახსენება საკმარისი არ არის, თუ ეს, ამავე დროს, არ გვიბიძგებს მოქმედებისკენ, ანტისემიტიზმის, ბოშათა მიმართ რასიზმისა და ნებისმიერი სხვა სახის დისკრიმინაციისა და უსამართლობის წინააღმდეგ, რაც დღესაც უქმნის საფრთხეს ადამიანის ღირსებას ჩვენს საზოგადოებებში.

ადამიანის ღირსების პერსპექტივიდან ჰოლოკოსტის მემორიალებისა და მუზეუმების მონახულება წარსულის ადამიანურ განზომილებასთან დაკავშირების მნიშვნელოვან შესაძლებლობას ქმნის. ჩადენილ სისასტიკეთა ფიზიკურ კვალთან ერთად ეს ადგილები ხშირად ინახავს პერსონალურ ისტორიებს, ერთ დროს ცოცხალი ადამიანების ცხოვრების ფრაგმენტებს: სახელებს, ფოტოებს, ხელნაწერ წერილებს, ნივთებს, რომლებიც მათ დარჩათ. ასეთი მიდგომა მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, რომ მსხვერპლი ანონიმურ რიცხვებად კი არ აღიქვან, არამედ ადამიანებად, რომლებსაც ჰყავდათ ოჯახები, ჰქონდათ პროფესიები, ოცნებები და ყოველდღიური სიხარული თუ სირთულეები. ამ ღრმად პერსონალურ ისტორიებთან შეხება მოსწავლეებს შეახსენებს, რომ ჰოლოკოსტი მხოლოდ ისტორიული მოვლენა არ იყო და უამრავი ადამიანის სიცოცხლისა და საზოგადოების რღვევა გამოიწვია. ამ პროცესის შედეგად მიღებული გამოცდილება მხოლოდ დანაშაულის მასშტაბის შეხსენებას კი არ გულისხმობს, არამედ პატივს მიაგებს თითოეული იმ ადამიანის ადამიანურობას, რომელიც დაზიანდა და დაიღუპა. ამავე დროს, მემორიალი

ასევე არის ადგილი, სადაც შეგვიძლია მივიღოთ გაკვეთილები აწმყოსა და მომავლის შესახებ: ეს ადგილები გვიჩვენებენ, თუ როგორ ირჩევს საზოგადოება ხსოვნას, როგორ სურს საკუთარი თავის წარმოჩენა და რა ღირებულებების დაცვას ცდილობს.

ამასთან, თუ ჰოლოკოსტის მუზეუმებსა და მემორიალებს ადამიანის ღირსების პერსპექტივიდან მივუდგებით, ისინი უმნიშვნელოვანეს სივრცედ იქცევა, რომელიც გვასწავლის მორალური გამბედაობის, წინააღმდეგობისა და სოლიდარობის შესახებ. სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად ხშირად დიდი პირადი რისკის ფასად მებრძოლი მსოფლიოს ხალხთა წმინდანების (Righteous among the Nations) ისტორიები ფასდაუდებელი გაკვეთილია პედაგოგებისა და მოსწავლეებისთვის და იძლევა ემპათიის, სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და გამბედაობის მაგალითებს უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ეპოქაში, როდესაც არსებობს არაერთი ადგილი, სადაც ადამიანის უფლებები ჯერ ისევ დაუცველია და როდესაც სიძულვილის ენა, შეუწყნარებლობა და შეთქმულების თეორიები ადვილად ვრცელდება, ჰოლოკოსტის ადგილებისა და მუზეუმების საგანმანათლებლო როლი უფრო აქტუალური ხდება, ვიდრე ოდესმე. ამ ადგილების მონახულება ადამიანის უფლებების ჭრილში გვეხმარება გავიაზროთ წარსული და ის, თუ როგორი გვინდა იყოს ჩვენი საზოგადოება. ეს განამტკიცებს აზრს, რომ ადამიანის ღირსების დაცვა მხოლოდ ზოგიერთის პასუხისმგებლობა არ არის და ყველას გვევალება. იგი გვიბიძგებს წინ აღვუდგეთ უსამართლობას, დავაფასოთ მრავალფეროვნება, პატივი ვცეთ ადამიანის უფლებებს, ვიქონიოთ ემპათია და სხვა კომპეტენციები, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიული და ინკლუზიური საზოგადოების შესაქმნელად, რომელშიც თითოეული ადამიანი შეძლებს ღირსეულად ცხოვრებას.

ამასთან, ჰოლოკოსტის მემორიალებისა და მუზეუმების მონახულება ადამიანის უფლებების ჭრილში მოსწავლეებს აწვდის ინსტრუმენტებს, რათა მათ კრიტიკულად გააანალიზონ არა მხოლოდ წარმოდგენილი ისტორია, არამედ ამ ისტორიის დამახსოვრებისა და ინტერპრეტაციის ხასიათიც. ზოგიერთ შემთხვევაში, თავად ეს ადგილები შეიძლება ასახავდეს დამახინჯებულ ან შერჩევით ნარატივებს, რომლებიც ეროვნული დღის წესრიგის გავლენით უმნიშვნელოდ წარმოაჩენენ ნაცისტურ რეჟიმთან ადგილობრივ თანამშრომლობას, ყურადღებას ამახვილებენ ეროვნულ მსხვერპლზე, ან თავს არიდებენ მსხვერპლთა ზოგიერთი ჯგუფის მოხსენიებას. ადამიანის უფლებათა ჩარჩო წაახალისებს მოსწავლეებს, რომ ეჭვი შეიტანონ ამ ნარატივებში, აღიარონ გამოტოვებული ნაწილები და გააანალიზონ, თუ როგორ ხდება მეხსიერების შექმნა პოლიტიკური და სოციალური ძალების გავლენით. უნივერსალურ პრინციპებზე: ადამიანის ღირსებაზე, სამართლიანობასა და ანგარიშვალდებულებაზე ფოკუსირება უკეთ ამზადებს მოსწავლეებს სახელმწიფოს გავლენით ფაქტების დამახინჯებისა და ჰოლოკოსტთან დაკავშირებით ფაქტების დამახინჯების სხვა ფორმების ამოსაცნობად. ასეთ შემთხვევაში ვიზიტი აღარ იქნება მხოლოდ პასიური სწავლის პროცესი; იგი შესაძლებლობას მისცემს მოსწავლეებს, რომ კრიტიკულად ჩაერთონ მეხსიერების შექმნაში და გაიაზრონ როგორ აისახება ჰოლოკოსტის შესახებ არსებული მეხსიერების ხასიათი იმაზე, თუ როგორ რეაგირებას მოვახდენთ უსამართლობაზე დღეს.

ჰოლოკოსტის მემორიალებისა და მუზეუმების ადამიანის ღირსების ჭრილში განხილვა მსხვერპლთა ცხოვრებისა და იდენტობის გახსენებისას, ამავდროულად, განამტკიცებს ამ პროცესში მონაწილე ყველა ადამიანის, თავად ვიზიტორების ღირსებასაც. ეს მიდგომა წაახალისებს წარსულის გახსენებას პატივისცემით და, ამასთან, ხელს უწყობს გააზრებას და ინკლუზიური სასწავლო გარემოს ჩამოყალიბებას. იგი აღიარებს, რომ ემოციურად უაღრესად რთულია ასეთი ტრავმული ისტორიისთვის თვალის გასწორება და რომ ამ გამოცდილების გააზრების პროცესში აუცილებელია ვიზიტორების, განსაკუთრებით მოსწავლეების მხარდაჭერა მათი ემოციური და ფსიქოლოგიური კეთილდღეობის დასაცავად. ადამიანის ღირსებაზე ფოკუსირება უზრუნველყოფს, რომ სწავლა ეფუძნებოდეს არა შოკსა ან ტრავმას, არამედ ემპათიას, კრიტიკულ აზროვნებასა და საერთო ვალდებულებას დავიცვათ ყველა ადამიანის უფლებები და ღირსება.

ისტორიული ადგილების, მემორიალებისა და მუზეუმების მონახულების დაგეგმვა და ორგანიზება ადამიანის უფლებათა პერსპექტივიდან

ჰოლოკოსტის მემორიალის მონახულება არ უნდა აღიქმებოდეს, როგორც დამოუკიდებელი ღონისძიება ან სიმბოლური ჟესტი, რომელიც მხოლოდ ხსოვნის დღით შემოიფარგლება. ამის ნაცვლად იგი უნდა განვიხილოთ, როგორც უფრო ფართო და უწყვეტი საგანმანათლებლო პროცესის ერთ-ერთი ნაწილი, რომელიც დაფუძნებული იქნება ადამიანის უფლებებისა და ადამიანის ღირსების აღიარებაზე. ასეთი ვიზიტები შინაარსიან საგანმანათლებლო მნიშვნელობას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძენს, თუ გააზრებულად ჩავრთავთ უფრო ფართო პედაგოგიურ ჩარჩოში, რომელიც ითვალისწინებს საფუძვლიან მომზადებას, კონტექსტის გააზრებასა და რეფლექსიას მასწავლებლის დახმარებით.

ასევე უმნიშვნელოვანესია ყურადღების გამახვილება თავად მემორიალში ან მუზეუმში ყოფნის მნიშვნელობაზე. ვიზიტი უნდა ემსახურებოდეს უშუალო შეხებას ამ ადგილთან, მის ისტორიასა და მნიშვნელობასთან. თუ მიზანი მხოლოდ ინფორმაციის მიწოდებაა, ეს საკლასო გარემოშიც შესაძლებელია. მემორიალში ან მუზეუმში ყოფნის განსაკუთრებული ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ ეს ეხმარება მოსწავლეებს კავშირი დაამყარონ ავთენტურ სივრცესთან, წაახალისებს მათ დაფიქრდნენ, თუ რატომ არსებობს ეს ადგილი, რას განასახიერებს იგი და როგორი ფორმით ირჩევენ საზოგადოებები წარსულის გახსენებას და წარმოდგენას. მოსწავლეთა მხარდაჭერა ადგილის მნიშვნელობის გაცნობიერებაში საშუალებას აძლევს მათ უფრო სიღრმისეულად ჩაერთონ ხსოვნისა და ადამიანის ღირსების საკითხებში.

ვიზიტების ორგანიზება ადამიანის უფლებათა პერსპექტივიდან მოითხოვს, რომ პედაგოგებმა დაისახონ მკაფიო საგანმანათლებლო მიზნები, რომლებიც მხოლოდ ისტორიული ფაქტების გადაცემით არ შემოიფარგლება. ვიზიტის მიზანია დაეხმაროს მოსწავლეებს ისტორიასთან ემოციური და ეთიკური კავშირის დამყარებასა და დეჰუმანიზების, ანტისემიტიზმის, რასიზმისა და გულგრილობის გრძელვადიანი შედეგების გააზრებაში. კარგად დაგეგმილი ვიზიტი ეხმარება მოსწავლეებს გაიაზრონ მეხსიერების, სამართლიანობისა და პასუხისმგებლობის საკითხები არა მხოლოდ წარსულში, არამედ საკუთარი ცხოვრებისა და თანამედროვე საზოგადოების ჭრილშიც.

ჰოლოკოსტის მემორიალის მონახულებისთვის მზადება ნაჩქარევად არ უნდა განხორციელდეს. იდეალურ შემთხვევაში, ეს რამდენიმე კვირის ან თვის განმავლობაში უნდა გრძელდებოდეს, რათა იყოს საკმარისი დრო ჰოლოკოსტისა და ადამიანის უფლებების ისტორიული, ემოციური და ეთიკური განზომილებების შესასწავლად. ასეთი გრძელვადიანი ჩართულობა უზრუნველყოფს, რომ ვიზიტი არ იქცეს ერთჯერად მოვლენად, არამედ გახდეს უფრო ფართო სასწავლო პროცესის ნაწილი, რომელიც დიდხანს ემახსოვრებათ მოსწავლეებს ვიზიტის დასრულების შემდეგ. ასეთი აქტივობების დაგეგმვისას ასევე აუცილებელია მოსწავლეთა ასაკისა და ემოციური სიმწიფის გათვალისწინება. მემორიალების მონახულება უმნიშვნელოვანესი გამოცდილებაა, თუმცა იგი უნდა შეესაბამებოდეს ასაკს და გააზრებულად უნდა მოექცეს სათანადო ჩარჩოებში, რათა მოსწავლეები მზად იყვნენ მონაწილეობისთვის შინაარსიანი ფორმით და პატივისცემით.

ჰოლოკოსტთან დაკავშირებულ ადგილას ვიზიტის ხანგრძლივი მომზადება ასევე ხელს უწყობს მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის ურთიერთობის ჩამოყალიბებას ან გაუმჯობესებას, ურთიერთპატივისცემისა და ნდობის საფუძველზე. ასეთი ურთიერთობა მნიშვნელოვანია მხარდაჭერისთვის ვიზიტის დროს იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეები გამოხატავენ ემოციური მხარდაჭერის საჭიროებას ან გამოავლენენ არასათანადო და ხელის შემშლელ ქცევას.

აქ წარმოდგენილი რეკომენდაციები, ძირითადად, განკუთვნილია საშუალო სკოლის მოსწავლეებთან სამუშაოდ და მასწავლებლებმა ისინი თავიანთი მოსწავლეების საჭიროებებს, კონტექსტსა და განვითარების საფეხურს უნდა მოარგონ.

ვიზიტამდე

როდესაც ვიზიტი გააზრებული, პატივისცემაზე დაფუძნებული და კვლევაზე ორიენტირებულია, იგი შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს უფრო საფუძვლიანი კავშირი დაამყარონ ისტორიის ადამიანურ განზომილებასთან, თვალი გაუსწორონ მორალურ სირთულეებს და ჩამოუყალიბდეთ ერთგულება ადამიანის უფლებებისა და ღირსების მიმართ. ქვემოთ მოყვანილი პუნქტები ასახავს იმ ძირითად ელემენტებს, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნას ვიზიტის დროს. უფრო კონკრეტული მიდგომები წარმოდგენილია თავში „რეკომენდებული აქტივობები მემორიალური ადგილებისა და მუზეუმების ვიზიტის დროს“.

კომუნიკაცია მშობლებთან და მეურვეებთან

ვიზიტის წინ მნიშვნელოვანია მშობლების ინფორმირება ვიზიტის მიზნებისა და შინაარსის შესახებ. მათ უნდა ესმოდეთ, რომ ნანახმა და გაგონილმა შესაძლოა მოსწავლეებზე ძლიერი ემოციური გავლენა მოახდინოს. მასწავლებლებს შეუძლიათ წაახალისონ მშობლები, რათა ვიზიტის შემდეგ მხარდაჭერა აღმოუჩინონ შვილებს - მოუსმინონ მათ განსჯის გარეშე, დაუსვან ღია კითხვები და დაეხმარონ გამოცდილებასთან გამკლავებაში. ძალიან სასარგებლოა მოკლე წერილი ან შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც განიმარტება ვიზიტის მიზნები, ადგილის ხასიათი და როგორ შეუძლიათ მშობლებს მხარი დაუჭირონ ემოციურ რეფლექსიას სახლში. ეს ნაბიჯი მხოლოდ მოსწავლეთა კეთილდღეობას კი არ უზრუნველყოფს, არამედ გაუმჯობესებს სწავლის პროცესსაც ფართო საზოგადოების ჩართულობის საშუალებით.

მოსწავლეთა საფუძვლიანი მომზადება ვიზიტის წინ

ადგილის ისტორია, რას ნახავენ იქ, რა აღარ ჩანს ან წაშლილია, ემოციური ზემოქმედება, რაც შეიძლება განიცადონ და ქცევის სათანადო წესები ვიზიტის დროს. რაც უფრო მომზადებულები იქნებიან მოსწავლეები, მით უფრო შინაარსიანი და ნაკლებად დამთრგუნველი იქნება გამოცდილება. მასწავლებლებს შეუძლიათ ისტორიული წყაროების, მაგალითად, მოწმეთა ჩვენებების, რუკების, ფოტოებისა და საარქივო დოკუმენტების გამოყენება კონტექსტის შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად და მოსწავლეთა დასახმარებლად, რათა მათ უკეთ გაიგონ მემორიალის ან მუზეუმის შინაარსი. მაგალითად, თუ მემორიალში კონკრეტული ადამიანების სახელებია წარმოდგენილი ან ეს ადამიანები მოხსენიებულნი არიან, სასურველია, რომ მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ მათი ვინაობა. წინასწარი ცოდნა შესაძლებლობას მისცემს მათ უკვე ადგილზე ამოიცნონ და სწორად გაიაზრონ ეს მინიშნებები. ამასთან, მოსწავლეებთან ისეთი ძირითადი ცნებების განხილვა, როგორიცაა ადამიანის უფლებები, ადამიანის ღირსება, ანტისემიტიზმი და ჯგუფზე მიმართული დისკრიმინაცია, ვიზიტს უფრო ფართო სოციალურ და ეთიკურ ჩარჩოებში მოაქცევს. სახელმძღვანელო *„წარსულის გაკვეთილები, ქმედება მომავლისთვის - ინტერდისციპლინური მიდგომა ჰოლოკოსტის, ადამიანის უფლებებისა და ინტერკულტურული განათლების მიმართ“* მოიცავს თვრამეტ საგანმანათლებლო აქტივობას, რომლებიც შეიძლება წინასწარ განხორციელდეს მოსწავლეებთან, გამოყენებულ იქნას სწავლებისთვის ჰოლოკოსტის მემორიალისა და მუზეუმის მონახულებამდე და დაეხმაროს მოსწავლეებს ემპათიისა და კრიტიკული რეფლექსიის განვითარებაში[2].

ვიზიტამდე მნიშვნელოვანია შეიქმნას სივრცე მოსწავლეებისათვის, რათა ისინი დაფიქრდნენ იმ ძირითად კითხვებზე, რომლებიც მათ როგორც ინტელექტუალურად, ისე ემოციურად მოამზადებს ამ გამოცდილებისთვის. ისეთი კითხვები, როგორიცაა: „რა ვიცი ჰოლოკოსტისა და ადამიანის უფლებების შესახებ?“, „რატომ უნდა მოვინახულოთ ეს ადგილი?“, „რა კითხვები მაქვს იმ ადამიანების შესახებ, რომლებმაც გადაიტანეს ეს ყველაფერი?“, ან „რას ნიშნავს მონახულება პატივისცემით?“ - ხელს შეუწყობს

2 სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია 12 ენაზე: https://www.toli.us/european-seminar-handbooks/

მოსწავლეების არსებული ცოდნის, ცნობისმოყვარეობისა და ღირებულებების დაკავშირებას ვიზიტის მიზნებთან. იმისათვის, რომ ყველა მოსწავლის ხმა იყოს გათვალისწინებული, მასწავლებლებს შეუძლიათ მათ შესთავაზონ კითხვების დასმა და შეშფოთების გამოთქმა პირდაპირ ან ანონიმურად. მაგალითად, შეიძლება შეიქმნას „კითხვების კედელი“ ან ყუთი და განისაზღვროს დრო, როდესაც ეს კითხვები განიხილება კლასში.

ჰოლოკოსტის მემორიალის ან ისტორიული ადგილის მოსანახულებლად მოსწავლეთა მომზადებისას ისტორიული წყაროების გამოყენება მნიშვნელოვან კონტექსტს იძლევა და აუმჯობესებს გააზრებას. გადარჩენილთა ჩვენებების, ფოტოების, რუკების, დოკუმენტების ან დღიურებიდან ამონარიდების გამოყენება საშუალებას აძლევს მოსწავლეებს ეს ადგილი რეალურ გამოცდილებებსა და მოვლენებს დაუკავშირონ. ეს წყაროები ეხმარება მათ წარმოიდგინონ, თუ რა მოხდა იმ ადგილას, უკეთ გაიაზრონ ფართო ისტორიული პროცესები და გაუჩნდეთ ემპათია დაზარალებულთა მიმართ. ვიზიტამდე წყაროების განხილვა ასევე წაახალისებს მოსწავლეების მხრიდან შინაარსიანი კითხვების დასმას, უფრო აქტიურ ჩართულობას ადგილზე და უფრო კრიტიკულ გააზრებას ვიზიტის შემდეგ. მასალების შერჩევისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას მათი მართებულობა მოსწავლეთა ასაკისა და ემოციური მზაობისთვის, აგრეთვე რამდენად უწყობენ ისინი ხელს ზოგადი სასწავლო მიზნების მიღწევას.

ამასთან, ზოგიერთ მემორიალს ვირტუალური ტურებიც აქვს. ეს შეიძლება იქცეს ღირებულ მოსამზადებელ რესურსად, რომელიც მოსწავლეებს საშუალებას მისცემს წინასწარ გაეცნონ სივრცის სტრუქტურასა და შინაარსს. მარტივი აქტივობაა მოსწავლეებისთვის ვირტუალურ ტურში მონაწილეობის დავალება და სამი შინაარსიანი კითხვის მომზადება რეალური ვიზიტისთვის. ეს აღვივებს ინტერესს და ამასთან უზრუნველყოფს მათ მზაობას აქტიური და შინაარსიანი ჩართულობისთვის ადგილზე ვიზიტის დროს.

თუ ვიზიტი ნებაყოფლობითია, როგორც წესი, მოსწავლეები უფრო აქტიურად მონაწილეობენ. თუმცა, როდესაც ვიზიტი სავალდებულოა მთელი კლასისთვის, ზოგიერთ მოსწავლეს შესაძლოა თავიდან არ ჰქონდეს ჩართულობის სურვილი. მომზადების პროცესში მოსწავლეებისთვის არჩევანის მიცემა, მაგალითად, პირადი კვლევითი პროექტის შერჩევა ან ვიზიტის დროს კონკრეტული ამოცანის შესრულება, ზრდის მოტივაციას და გამოცდილებას მეტ შინაარსს სძენს.

ვიზიტის დროს შესავსები ფურცლების ან გასააზრებელი კითხვების მომზადება ხელს უწყობს აქტიურ ჩართულობას. ეს შეიძლება ითვალისწინებდეს დაკვირვების დავალებებს, პირად რეფლექსიას ან შეკითხვებს მითითებებთან ერთად იმ ადამიანების ისტორიებისა და გამოცდილებების შესახებ, რომელთა შესახებ ისინი შეიტყობენ ვიზიტის დროს. მაგალითები წარმოდგენილია ქვემოთ და დანართებში. საგანმანათლებლო დაგეგმვისას აუცილებელია ვიზიტის ადგილის ხასიათის გათვალისწინება, აღიარება, რომ სხვადასხვა ადგილები განსხვავდება ტონით, შინაარსითა და ემოციური დატვირთვით, რაც განსხვავებულ მიდგომებს საჭიროებს მოსწავლეთა ჩართულობისა და აზროვნების მხარდასაჭერად. მასწავლებლებს ეძლევათ რეკომენდაცია, შესაბამისად მოახდინონ საკუთარი მეთოდების ადაპტირება დანართებში წარმოდგენილი ნიმუშებისა და რჩევების გათვალისწინებით, რათა უზრუნველყონ რომ ვიზიტი კონკრეტული ჯგუფისთვის იყოს შესაბამისი, პატივისცემაზე დაფუძნებული და შინაარსიანი.

ქცევა და პრაქტიკული საკითხები

ვიზიტისათვის მოსწავლეების მომზადებისას მასწავლებლებს ურჩევენ, წესების მარტივად განსაზღვრის ნაცვლად ეს პროცესი დაიწყონ ღია დისკუსიით, რომლის დროსაც მოსწავლეები იმსჯელებენ, თუ რას ნიშნავს ქცევა პატივისცემით. ასეთ საუბარში შეიძლება ისეთი პრაქტიკული საკითხების განხილვა, როგორიცაა: ამინდისა და ადგილის შესაფერისად ჩაცმა, მშვიდი და გააზრებული მანერის შენარჩუნება, ასევე ფოტოების გადაღებისადმი ფრთხილი დამოკიდებულება. მოსწავლეებს აუცილებლად უნდა

შეახსენონ, რომ თანხმობის გარეშე უცხო ადამიანების გადაღება არ შეიძლება და რომ ზოგიერთ სივრცეში ფოტოგადაღება საერთოდ აკრძალულია. მასწავლებლებს ასევე შეუძლიათ დააფიქრონ მოსწავლეები ფოტოგრაფიის დანიშნულებასა და ტონზე სხვადასხვა კონტექსტში, მაგალითად, ერთმანეთს შეადარონ წვეულებებზე ან ტურისტულ ობიექტებზე „სელფის“ გადაღება ისტორიულ სისასტიკესთან დაკავშირებულ ადგილებში გადაღებულ ფოტოებს. ფოტოზე სათანადო სხეულის ენის, პატივისცემის გამოხატვისა და სოციალურ მედიაში ამ ფოტოების გამოყენების განხილვა ეხმარება მოსწავლეებს გააცნობიერონ, როგორ გამოხატავს მათი ქცევა ღირებულებებს, განსაკუთრებით სერიოზულ გარემოში. ამ რეფლექსიის გასაღრმავებლად მასწავლებლებს შეუძლიათ მოსწავლეებს შესთავაზონ მემორიალური ადგილიდან გადაღებული ფოტოს სოციალური მედიაში გამოქვეყნების შესაძლო გავლენის გაანალიზება და განხილვა:

- რა მესიჯს შეიძლება შეიცავდეს ასეთი ფოტო სხვა ადამიანების მიმართ?
- როგორ შეიძლება შეიცვალოს ფოტოს მნიშვნელობა წარწერის, პოზის ან გაზიარების კონტექსტის მიხედვით?
- შეიძლება თუ არა, რომ მემორიალში გადაღებული ფოტო ერთდროულად პირადიც იყოს და პატივისცემასაც გამოხატავდეს?

ასეთი ტიპის აქტივობა ეხმარება მოსწავლეებს გააცნობიერონ, რომ ფოტო ნეიტრალური არ არის (იგი აყალიბებს საზოგადოებრივ მეხსიერებას და ასახავს პირად ღირებულებებს) და წაახალისებს მათ კრიტიკულად გაიაზრონ, თუ როგორ არის ერთმანეთთან გადაჯაჭვული ხსოვნა და ციფრული კულტურა.

ამავე დროს მნიშვნელოვანია მოსწავლეთა წახალისება, რათა მათ რეალურად *შეიმეცნონ* ადგილის მნიშვნელობა - გამოიჩინონ ცნობისმოყვარეობა, ყურადღებით დააკვირდნენ დეტალებს და სცადონ გააზრება. ზოგჯერ მოსწავლეები ზედმეტ ყურადღებას ამახვილებენ მოქცევის წესებზე და ღელავენ „პატივისცემის“ გამომხატველი ქცევის ნორმების დაცვასთან დაკავშირებით. ამის ნაცვლად, შესთავაზეთ მათ ვიზიტს მიუდგნენ გახსნილად და ცნობისმოყვარეობით: დააკვირდნენ, დაფიქრდნენ, გაიაზრონ რა მოხდა ამ ადგილას და რას ნიშნავს ეს დღეს. პატივისცემა მხოლოდ სიჩუმეს არ გულისხმობს - იგი ითვალისწინებს გულწრფელ ჩართულობას, ყურადღებას და ემპათიას.

არანაკლებ მნიშვნელოვანია პრაქტიკული მზაობაც. მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, რომ ვიზიტის მნიშვნელოვან ნაწილს ღია ცის ქვეშ გაატარებენ და, შესაბამისად, უნდა მოემზადონ სეზონის მიხედვით: თან იქონიონ მზისგან დამცავი საშუალებები, ქუდი ან საწვიმარი, აგრეთვე წყალი. მიზანშეწონილია, რომ წინასწარ მიიღონ საკვები და, საჭიროების შემთხვევაში, თან იქონიონ წასახემსებელი საკვები, რადგან ასეთი ვიზიტები ხშირად ხანგრძლივი და ემოციურად დატვირთულია. ამ საბაზისო საჭიროებების წინასწარ გათვალისწინება მინიმუმამდე ამცირებს დისკომფორტსა და ყურადღების გაფანტვას და ეხმარება მოსწავლეებს სასწავლო გამოცდილებაზე ყურადღების გამახვილებაში.

საინტერესო რეფლექსიის საგანი შეიძლება გახდეს არაერთი მემორიალური ადგილის დღევანდელ უწყინარ იერსახესა და ტრავმულ წარსულს შორის არსებული კონტრასტი. მასწავლებლებმა წინასწარ შეიძლება აუხსნან მოსწავლეებს, რომ ასეთი დისონანსი ხშირია და არ ამცირებს იქ მომხდარი მოვლენების სერიოზულობას. პირიქით, ეს შეიძლება მნიშვნელოვანი დასაწყისი გახდეს იმის გასააზრებლად, თუ როგორ ხდება ძალადობა და დეჰუმანიზება ხშირად სრულიად ჩვეულებრივ, გარეგნულად მშვიდ გარემოშიც კი.

როგორც ქცევის წესების, ისე პრაქტიკული რეკომენდაციების დაფუძნება ადამიანის ღირსების ცნებაზე, მსხვერპლის, ადგილისა და ერთმანეთის მიმართ პატივისცემაზე, ეხმარება მოსწავლეებს ქცევის მნიშვნელობის შინაგანად გააზრებაში და აძლიერებს ადამიანის უფლებათა შესახებ განათლების ძირითად ღირებულებებს: პატივისცემას, ემპათიასა და პასუხისმგებლობას.

ემოციური მომზადება და მხარდაჭერა

ვიზიტის ემოციური გავლენის განხილვა მომზადების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია. მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, რომ შეიძლება განიცადონ ძლიერი ემოცია, მწუხარება, დაბნეულობა. ასევე სრულიად ნორმალური რეაქციაა, თუ თავიდან ვერაფერს იგრძნობენ.

მასწავლებლებმა რჩევები უნდა მისცენ მოსწავლეებს, თუ როგორ მართონ ემოციები, რომ არ უნდა შეეშინდეთ და მოძებნონ ამ ემოციების გააზრებისა და გადამუშავების კონსტრუქციული გზები. განსაკუთრებით სასარგებლოა დამშვიდების ტექნიკის შეთავაზება, მაგალითად, ღრმად სუნთქვა ან მცირე პაუზა გარეთ გასასვლელად და სხეულთან და დროსთან კავშირის აღსადგენად.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა დაიწყოს საუბარი მოსწავლეთა მოლოდინებსა და წუხილებზე. მას შეუძლია იკითხოს, ხომ არ არის ისეთი ადგილები, რომელთა ნახვაც რომელიმე მოსწავლეს არ სურს და რატომ. ამასთან, მკაფიოდ უნდა აღინიშნოს, რომ უარის თქმა მისაღებია. ეს ხელს უწყობს სისუსტის ნორმალურად წარმოჩენას და აუმჯობესებს მოსწავლეთა შესაძლებლობას, რომ სტიგმის გარეშე ისაუბრონ თავიანთი საჭიროებების შესახებ.

ემოციური უსაფრთხოებისა და თანატოლთა შორის კავშირის გასაძლიერებლად მასწავლებლებს შეუძლიათ მოსწავლეები წყვილებად ან მცირე გუნდებად დაყონ და განუსაზღვრონ მათ ორმაგი როლი: ემოციური მხარდაჭერა და სწავლის თანამშრომლობითი სტრატეგია. თანატოლთა ასეთი გუნდები ვიზიტის განმავლობაში ყურადღებას აქცევენ ერთმანეთს და ერთად ასრულებენ გარკვეულ რეფლექსიურ ან დაკვირვებაზე დაფუძნებულ დავალებებს. ასეთი სტრატეგია, ერთი მხრივ, აძლიერებს ემპათიასა და ურთიერთზრუნვას და, ამავე დროს, აუმჯობესებს მოსწავლეების შესაძლებლობას შინაარსიანად და პატივისცემით გაიაზრონ ვიზიტი.

მასწავლებლის მომზადება

საუკეთესო შემთხვევაში, მასწავლებლებმა თავად წინასწარ უნდა მოინახულონ ეს ადგილი ფიზიკურად, ან ვირტუალური ტურის საშუალებით, რათა უკეთ გაიაზრონ, თუ რას განიცდიან მოსწავლეები, რა კონტექსტური ცოდნა სჭირდებათ მათ ვიზიტამდე და იმუშაონ საკუთარ ემოციურ რეაქციებზეც. თუ წინასწარი ვიზიტი შეუძლებელია, მასწავლებელმა მაქსიმალურად ბევრი ინფორმაცია უნდა მოაგროვოს წიგნების, ინტერვიუებისა და ონლაინ რესურსების დახმარებით.

ამასთან, ძალიან მნიშვნელოვანია მემორიალის ან მუზეუმის პერსონალთან წინასწარი კომუნიკაცია. როდესაც პერსონალი ინფორმირებულია, თუ რა წინასწარი ცოდნა აქვთ მოსწავლეებს ჰოლოკოსტისა და ადამიანის უფლებების შესახებ და რა არის სასწავლო მიზნები, ისინი უკეთ შეძლებენ ამ მიზნების მიღწევაში მონაწილეობის მიღებას. სასურველია, მასწავლებელმა წინასწარ აცნობოს მათ გეგმებისა და მოლოდინების შესახებ, რადგან ბევრი მემორიალური ადგილი და მუზეუმი პედაგოგებსაც სთავაზობს ღირებულ რეკომენდაციებს, რესურსებსა და მოსამზადებელ მასალებს, რაც თავად მასწავლებლებსაც დაეხმარება მოსწავლეთა ვიზიტისთვის უკეთ მოსამზადებლად.

ვიზიტის განმავლობაში

გააზრებაზე, პატივისცემასა და კვლევაზე დაფუძნებული გამოცდილების სახით ვიზიტის წარმართვის შემთხვევაში პედაგოგები ეხმარებიან მოსწავლეებს კავშირი დაამყარონ ისტორიის ადამიანურ განზომილებასთან, თვალი გაუსწორონ მორალურ სირთულეს და ჩამოუყალიბდეთ ერთგულება ადამიანის უფლებებისა და ღირსების მიმართ. ქვემოთ წარმოდგენილია ზოგადი რეკომენდაციები. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ სექციაში: *„მემორიალებისა და მუზეუმების მონახულების დროს რეკომენდებული აქტივობები“.*

არჩევისა და რეფლექსიისთვის სივრცის დატოვება

შეძლებისდაგვარად მიეცით მოსწავლეებს გარკვეული ავტონომია ადგილზე საკუთარი გამოცდილების ფორმირებაში. მაგალითად, მათ შეუძლიათ თავად აირჩიონ, გამოფენის რომელ ნაწილებს დაუთმონ უფრო მეტი დრო, სრულად მოუსმინონ გადარჩენილთა ჩვენებების ჩანაწერებს, თუ კონკრეტულ ისტორიებზე გაამახვილონ ყურადღება, ან შევიდნენ თუ არა ისეთ ადგილებში, რომლებიც განსაკუთრებით მძაფრ ემოციებს აღძრავს. ასეთი არჩევანის უფლება ხელს უწყობს ემპათიის, მოწიფულობისა და უფრო ძლიერი პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბებას.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ბალანსის დაცვა მასწავლებლის მიერ წარმართულ შესწავლასა და პერსონალურ გააზრებას შორის. ერთ-ერთი ეფექტიანი მიდგომაა ვიზიტის ორ ნაწილად დაყოფა: ერთი ნაწილი ჯგუფის სტრუქტურირებული წარმართვითა და დისკუსიით, ხოლო მეორე -მშვიდი, ინდივიდუალური შესწავლისთვის. წაახალისეთ მოსწავლეები, რომ დაუბრუნდნენ იმ ადგილებს, რომლებმაც განსაკუთრებით იმოქმედა მათზე, ხოლო შემდეგ დაკავდნენ პერსონალური რეფლექსიით, მაგალითად, მიწერონ მოკლე პასუხი ან წერილი იმ მსხვერპლს ან გადარჩენილს, რომლის ისტორიასაც გაეცნენ. ავტონომიისა და ჩუმი დაფიქრების ასეთი წუთები ეხმარება მოსწავლეებს გამოცდილების შინაარსიან და გრძელვადიან შეთვისებაში.

კონსტრუქციული რეაგირება ემოციურ რეაქციებსა და არასათანადო ქცევაზე

მოსწავლეებმა შესაძლოა დისკომფორტი გამოხატონ ხელის შემშლელი ფორმით, მათ შორის სიცილით, შეუფერებელი კომენტარებით, ან თუნდაც ნაცისტური ჟესტების მიბაძვით. შერცხვენის ნაცვლად, ასეთი მომენტები სასწავლო შესაძლებლობად უნდა განვიხილოთ. აუცილებელია ავუხსნათ, თუ რატომ არის ასეთი ქცევა მტკივნეული, რატომ გამოხატავს უპატივცემულობას და ვთხოვოთ მოსწავლეებს, რომ დაფიქრდნენ იმ ემოციებზე, რომლებიც საფუძვლად უდევს ამ ქცევას. ყურადღება გაამახვილეთ მათი ქმედებებით როგორც საკუთარი, ისე სხვათა ღირსების დაცვის მნიშვნელობაზე.

ზოგიერთმა მოსწავლემ, განსაკუთრებით მოზარდებმა, შესაძლოა სცადოს სევდის, მწუხარების ან ბრაზის დამალვა და გამოავლინოს საპირისპირო რეაქციები, მაგალითად, სიცილი, საუბარი ან გამოიყურებოდეს დაბნეულად. ზოგიერთი კულტურის ან თანატოლთა კონტექსტში სევდის ან სისუსტის ღიად გამოხატვა, განსაკუთრებით ბიჭებისთვის, შესაძლოა მიუღებლად აღიქმებოდეს. ამის აღიარება დაეხმარება მასწავლებლებს, რომ მსგავსი ქცევები ემპათიურად გაიაზრონ და შექმნან სივრცე, სადაც მოსწავლეები შეძლებენ თავისებურად გამოხატონ ემოციები და, ამავე დროს, გაითვალისწინებენ დანარჩენი ვიზიტორების, მათ შორის კოლეგების პატივისცემის აუცილებლობას.

ადამიანის ღირსების დაცვა წარსულის შესწავლის პროცესში

ჰოლოკოსტის მემორიალებისა და მუზეუმების მონახულებისას მხოლოდ ის კი არ არის მნიშვნელოვანი, თუ რა არის წარმოდგენილი, არამედ ისიც, თუ როგორ არის ეს წარმოდგენილი. რეფლექსია ადამიანის

ღირსების პერსპექტივიდან წაახალისებს მოსწავლეებს კრიტიკულად შეაფასონ სივრცე, თხრობის შერჩეული გზები, ექსპოზიციის ემოციური და ეთიკური ზეგავლენა. მსხვერპლთა გამოსახვის ფორმა, ისტორიული მასალების კონტექსტი და ხსოვნის ზოგადი ატმოსფერო მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ისტორიის გაგებასა და დამახსოვრებას. ქვემოთ მოცემული კითხვები დაეხმარება მოსწავლეებს განსაზღვრონ რამდენად სცემს პატივს ადამიანის ღირსებას მოცემული ადგილი:

- გამოფენის ცენტრში მსხვერპლთა ხმები და გამოცდილებებია მოქცეული თუ ძირითადი აქცენტი კანონდამრღვევებზე კეთდება?
- მკაფიოდ არის თუ არა იდენტიფიცირებული და განმარტებული ანტისემიტური ან სხვა ნებისმიერი სახის პროპაგანდა, რათა თავიდან იქნას აცილებული მავნე სტერეოტიპების გაუაზრებლად განმტკიცება?
- მნიშვნელოვანია გამოსახულებების გამოყენების ფორმაც: გამოხატავენ თუ არა ისინი პატივისცემას იმ ადამიანების მიმართ, ვისაც ასახავენ? მოსწავლეები უნდა დაფიქრდნენ თუ რას იგრძნობდნენ, ასეთი გამოსახულებები მათი ან მათთვის ახლობელი ადამიანის რომ იყოს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც გამოსახულება შიშველ, გაძვალტყავებულ ან გარდაცვლილ ადამიანებს ასახავს?
- უზრუნველყოფს თუ არა გამოფენის ან მემორიალის დიზაინი და ტონი ღირსეულ და პატივისცემაზე დაფუძნებულ საშუალებას ტანჯული და მოკლული ადამიანების ხსოვნისთვის?
- თუ ეს ადგილი უმთავრესად ეროვნული ნარატივის ან სხვა სახის ინსტრუმენტალიზების ხელშეწყობას ემსახურება?

ეს კითხვები დაეხმარება მოსწავლეებს გასცდნენ ისტორიული ინფორმაციის ფარგლებს და სიღრმისეულად დაფიქრდნენ ეთიკურ წარმოდგენაზე, მეხსიერებასა და პატივისცემაზე.

ვიზიტის შემდეგ

სწავლის პროცესი არ სრულდება მოსწავლეების მიერ მემორიალის დატოვებისას - ხშირად სწორედ ამ დროს იწყება ყველაზე კრიტიკული ეტაპი. ვიზიტის შემდგომი პერიოდი გადამწყვეტია, რათა დაეხმაროს მოსწავლეებს გადაამუშაონ ნანახი, გარდაქმნან ემოციური რეაქციები ღრმა გააზრებად და კიდევ ერთხელ დაფიქრდნენ ადამიანის ღირსებისა და უფლებების მუდმივ მნიშვნელობაზე.

საწყისი რეფლექსია ადგილზე

მემორიალის დატოვებამდე რამდენიმე წუთი დაუთმეთ მოსწავლეების მიერ ნანახისა და განცდილის გააზრებას. ეს საწყისი რეფლექსია სხვადასხვა ფორმით შეიძლება წარიმართოს: მოსწავლეებმა შეიძლება თქვან ერთი სიტყვა ან გამოხატონ განცდა, ჩაინიშნონ მოკლე აზრი ან კითხვა, დახატონ სურათი ან ჩუმ ჯგუფში ჩაერთონ. ამის მიზანი ანალიზი კი არ არის, არამედ ვიზიტის ემოციური სიმძიმის აღიარებაა. ეს რამდენიმე წუთი ადგილზე მნიშვნელოვანი პირველი ნაბიჯია, რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს მომდევნო დღეებში ვიზიტის სიმძაფრიდან უფრო სიღრმისეულ გააზრებაზე გადასვლის პროცესში.

ემოციის აღიარება

სასტიკი დანაშაულების ადგილების მონახულებამ შეიძლება გამოიწვიოს ემოციური რეაქციების ფართო სპექტრი - მწუხარება, ბრაზი, დაბნეულობა, აღქმის უნარის დაქვეითება ან დანაშაულის განცდაც კი. მნიშვნელოვანია მოსწავლეები დავამშვიდოთ, რომ ყველა ეს რეაქცია ბუნებრივი და მისაღებია. ემოციების გაანალიზებისა და პიროვნული ზრდის ხელშესაწყობად შესთავაზეთ მათ რეფლექსიის სხვადასხვა ფორმა, მაგალითად, წერა, დღიურის წარმოება, ხატვა ან დისკუსია მცირე ჯგუფებში. წაახალისეთ მოსწავლეები, რომ გამოცდილება საკუთარი ღირებულებების კონტექსტში გააანალიზონ და უფრო ფართო საკითხებს - სამართლიანობასა და იდენტობას დაუკავშირონ. ვიზიტის შემდეგ უკან დაბრუნებისას ზოგიერთი მოსწავლე შეიძლება ჩაკეტილი ჩანდეს, სხვები იცინოდნენ ან საუბარი სრულიად დაუკავშირებელ თემებზე გადაიტანონ. ეს შეიძლება ბუნებრივი დამცავი მექანიზმები იყოს და არ უნდა ჩაითვალოს ინტერესის ან პატივისცემის ნაკლებობად. მრავალფეროვანი რეაქციებისთვის სივრცის დატოვება ხელს უწყობს მხარდამჭერი და პატივისცემაზე დაფუძნებული სასწავლო გარემოს ჩამოყალიბებას.

გააზრების გაგრძელება კლასში

გამოყავით დრო, რათა მოსწავლეები კიდევ ერთხელ დაუბრუნდნენ მიღებულ გამოცდილებას მართულ ჯგუფურ დისკუსიებში, აღნიშნონ, თუ რამ იმოქმედა მათზე ყველაზე მეტად, დასვან პასუხგაუცემელი კითხვები და გააანალიზონ ვიზიტის ემოციური და ეთიკური გავლენა. ასეთი საუბრები აძლიერებს კოლექტიურ გააზრებას და აღრმავებს ინდივიდუალურ სწავლას. დაეხმარეთ მოსწავლეებს ნანახის ისეთ ფართო თემებთან დაკავშირებაში, როგორიცაა მეხსიერება, სამართლიანობა და სამოქალაქო პასუხისმგებლობა. კვლავ მიუბრუნდით მოწმეთა ჩვენებებს, არტეფაქტებს ან მორალურ დილემებს ვიზიტის ადგილიდან და სთხოვეთ მოსწავლეებს, დროის გასვლის შემდეგ თავიდან დაფიქრდნენ ამაზე. მკაფიოდ უნდა ითქვას, რომ ამ გამოცდილების გაანალიზება ერთ გაკვეთილში არ დასრულდება. ემოციები და ფიქრები შეიძლება მოგვიანებითაც გააქტიურდეს და მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა იცოდნენ, რომ მათ ექნებათ სივრცე საუბრის, ანალიზისა და ჩართულობისთვის.

წაახალისეთ პერსონალური რეფლექსია, მაგალითად, ქვემოთ მოცემული კითხვებით: „ვიზიტის რომელმა ნაწილმა მოახდინა ჩემზე ყველაზე დიდი გავლენა და რატომ?“, „რა შევიტყვე საკუთარ თავზე, სხვებზე და ხსოვნის მნიშვნელობაზე?“, „როგორ უკავშირდება ეს ისტორია ადამიანის უფლებებსა და დისკრიმინაციის საკითხებს დღეს?“, „რა ქმედებები შემიძლია განვახორციელო ანტისემიტიზმის წინააღმდეგ და ადამიანის

ღირსების პატივისცემის ხელშესაწყობად ჩემს სკოლაში ან თემში?“ რეფლექსია შეიძლება ასევე ითვალისწინებდეს განხილვას, თუ როგორ იყო წარმოდგენილი შემდეგი საკითხები: „იყო თუ არა მიდგომა შესაბამისი და პატივისცემაზე დაფუძნებული?“, „რა არჩევანი გაკეთდა ისტორიის გადმოცემისას?“, „მე როგორ წარვუდგენდი ამ საკითხებს სხვებს?

მოსწავლეებს ამ კითხვებზე პასუხის გაცემა მათთვის მისაღები სხვადასხვა ფორმით შეუძლიათ, ასაკის, ინტერესებისა და სწავლის სტილის შესაბამისად. ერთ-ერთი ვარიანტია პირადი რეფლექსიის დაწერა, მაგალითად, ჩანაწერი ჟურნალში ან წერილი თანატოლს, რომელშიც აღწერენ, თუ რას ნიშნავდა მათთვის ეს ვიზიტი. მსურველებს შეუძლიათ თავიანთი ჩანაწერები კლასში ხმამაღლა წაიკითხონ, რაც აძლიერებს ერთობლივი სწავლისა და ემპათიის განცდას. ამის ნაცვლად, მოსწავლეებს ასევე შეუძლიათ გამოცდილების შემოქმედებითად გადმოცემა - ვიზუალური ხელოვნების, პოეზიის ან მუსიკის მეშვეობით. ხელოვნების ასეთი ფორმები ემოციური სიღრმისა და ინდივიდუალური ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა და ვიზიტის გავლენის გააზრებისა და გადმოცემის მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს.

პასუხისმგებლობის ჩამოყალიბება

ვიზიტის შემდეგ მოსწავლეები უნდა წავახალისოთ, რომ დაფიქრდნენ, თუ როგორ შეიძლება წარსულის გაკვეთილებმა გავლენა მოახდინოს მათ დღევანდელ ქმედებებზე. რას ნიშნავს დღეს სხვების დაცვა? როგორ შეძლებენ საკუთარ თემებში ანტისემიტიზმის, ბოშების წინააღმდეგ მიმართული რასიზმის ან გარიყვის სხვა ფორმების ამოცნობასა და ამისთვის წინააღმდეგობის გაწევას? ასეთი რეფლექსიის მხარდასაჭერად შეიძლება მოეწყოს ცნობიერების ამაღლების კამპანიების შემუშავება, თანატოლებთან სამუშაო შეხვედრების დაგეგმვა ან დამცველის სამოქმედო გეგმის შედგენა, რომლის ფარგლებში მოსწავლეები განსაზღვრავენ, თუ როგორ დაიცავენ სხვათა უფლებებსა და ღირსებას ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მოსწავლეთა გაძლიერება ხსოვნის ელჩებად და აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბების მიზნით

გააზრების ხელშეწყობის კიდევ ერთი გზაა მოსწავლეთა წახალისება გაუზიარონ თავიანთი გამოცდილება სხვებს - განსაკუთრებით იმ თანატოლებს, რომლებმაც ვიზიტში მონაწილეობა ვერ მიიღეს, ასევე სკოლის ფართო საზოგადოებას, მშობლებსა და ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებს. ამის განხორციელება შესაძლებელია პრეზენტაციების, შემოქმედებითი პროექტების ან საერთო ციფრული ჟურნალების ფორმით. ეს მხოლოდ მიღებულ ცოდნას კი არ ამყარებს, არამედ კიდევ ერთხელ განამტკიცებს ადამიანის უფლებათა შესახებ განათლების მთავარ გზავნილს: ჩვენ გვეკისრება პასუხისმგებლობა არა მხოლოდ საკუთარ თავზე, არამედ უფრო ფართო საზოგადოებაზეც.

გააზრებული, სტრუქტურირებული რეფლექსიის მეშვეობით, რომელიც ადამიანის ღირსების პატივისცემას ეფუძნება, მასწავლებლებს შეუძლიათ უზრუნველყონ, რომ ჰოლოკოსტის მემორიალში ვიზიტი ერთჯერად გამოცდილებად კი არ დარჩეს, არამედ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს მოსწავლეთა ემპათიურ, პასუხისმგებლობიან და აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბების პროცესში.

მემორიალებისა და მუზეუმების მონახულების დროს რეკომენდებული აქტივობები

ამ ნაწილში იხილავთ კონკრეტულ რეკომენდაციებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განახორციელოთ ვიზიტები თქვენს მოსწავლეებთან ერთად. აუცილებელი არ არის ყველა მათგანის გამოყენება. პირიქით, უმჯობესია იდეები შეარჩიოთ, მოარგოთ და დააკონკრეტოთ თქვენი მოსწავლეების საჭიროებებისა და იმ კონკრეტული ადგილისა თუ მუზეუმის შესაბამისად, რომელსაც ესტუმრებით. თითოეული მაგალითი ეფუძნება დაშვებას, რომ ვიზიტი უფრო ფართო სასწავლო პროცესის ნაწილია (იხილეთ ქვეთავი: *„ისტორიული ადგილების, მემორიალებისა და მუზეუმების მონახულების დაგეგმვა და ორგანიზება ადამიანის უფლებათა პერსპექტივიდან“*), რომ მოსამზადებელი სამუშაო უკვე შესრულებულია (იხილეთ ქვეთავი: *„ვიზიტამდე“*) და რომ მოსწავლეებს აქვთ საბაზისო ცოდნა ჰოლოკოსტისა და იმ ადგილის შესახებ, რომლის შესწავლასაც აპირებენ.

A. ისტორიული ფაქტების განხილვა ადამიანის უფლებების ჩარჩოს კონტექსტში

ადამიანის უფლებების პერსპექტივიდან ჰოლოკოსტის ისტორიული ადგილის, მემორიალის ან მუზეუმის აქტიური განხილვის ხელშეწყობისათვის მოსწავლეთა მიერ მასწავლებელს შეუძლია ისინი დაყოს წყვილებად ან მცირე ჯგუფებად, რომელთაგან თითოეული ოთხ-ხუთ კონკრეტულ უფლებაზე იქნება ფოკუსირებული (მაგ. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ან ბავშვის უფლებათა კონვენციის შესაბამისად). ადგილის დათვალიერებისას მოსწავლეები ეძებენ მაგალითებს, თუ როგორ ირღვეოდა ეს უფლებები ჰოლოკოსტის დროს ან, ზოგ შემთხვევაში, თუ როგორ ხდებოდა მათი დაცვა ან აღდგენა - განსაკუთრებით ომამდე და ომის შემდგომ პერიოდებში. პრაქტიკული ინსტრუმენტი ამ პროცესის მხარდასაჭერად მოცემულია მასალაში: *„ადამიანის უფლებებზე დაკვირვების გზამკვლევი მემორიალში/ მუზეუმში ვიზიტისთვის“*.

მასწავლებელს ასევე შეუძლია მოსწავლეებს გააცნოს იმ პერიოდის სამართლებრივი კონტექსტი. ადამიანის ღირსება და ისეთი უფლებები, როგორიცაა სიტყვის თავისუფლება, კანონის წინაშე თანასწორობა და სიცოცხლის უფლება უკვე არსებობდა გერმანიის კონსტიტუციურ ჩარჩოში ომამდე, თუმცა ისინი სისტემურად გაუქმდა ნიურნბერგის დისკრიმინაციული კანონების მეშვეობით. სხვა ქვეყნებშიც მიიღეს მსგავსი ამკრძალავი ან დისკრიმინაციული ხასიათის კანონები, რაც ცხადყოფს, რომ თვით სამართლებრივი სისტემები გამოიყენებოდა დევნისა და დისკრიმინაციის ლეგიტიმაციისთვის. ამ სამართლებრივი ზომების შედარება იმ დაცვასთან, რაც, მოგვიანებით, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დოკუმენტებით დამკვიდრდა, მოსწავლეებს ეხმარება გაიაზრონ, თუ როგორ შეუძლია კანონებს ადამიანის ღირსების როგორც დაცვა, ასევე შელახვა.

ქვემოთ მოცემულია რეკომენდებული მიდგომა, თუ როგორ შეუძლია მასწავლებელს ვიზიტის მომზადება, განხორციელება და შეჯამება ადამიანის უფლებების ჭრილში.

ვიზიტამდე:

- დარწმუნდით, რომ მოსწავლეებს აქვთ ადამიანის უფლებათა ღირებულებებისა და პრინციპების საბაზისო ცოდნა;
- დაყავით მოსწავლეები წყვილებად ან მცირე ჯგუფებად, თითოეულ ჯგუფს მიეცით უფლებათა კონკრეტული ჩამონათვალი და განიხილეთ ან მიმოიხილეთ ეს უფლებები (მაგ. *ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციიდან*);
- წაახალისეთ მოსწავლეები დაფიქრდნენ, თუ სად და როგორ ვლინდება ეს უფლებები ყოველდღიურ ცხოვრებაში დღეს, რათა ვიზიტის დროს ჰქონდეთ ორიენტირი შესადარებლად.

ვიზიტის დროს:

- მოსწავლეები იყენებენ სამუშაო ფურცელს გზამკვლევის სახით და ინიშნავენ რასაც ხედავენ, ისმენენ ან გრძნობენ მათთვის მიცემული უფლებების კონტექსტში. ეს ფურცელი შექმნილია იმისათვის, რომ ჰოლოკოსტის მემორიალებსა და მუზეუმებში ხელი შეუწყოს მოსწავლეების ჩართულობას ადამიანის უფლებებისა და ადამიანის ღირსების პერსპექტივიდან. მიზანი მხოლოდ ფაქტობრივი ინფორმაციის შეგროვება კი არ არის, არამედ კანონების, პოლიტიკისა და ქმედებების ადამიანებზე გავლენის გააზრება და ამ გააზრების დაკავშირება დღევანდელობასთან;
- შეახსენეთ მათ, რომ „მტკიცებულება“ შეიძლება მოიცავდეს როგორც იმას, რაც წარმოდგენილია (გამოფენები, ჩვენებები, არტეფაქტები), ასევე იმასაც, რაც არ არის ნაჩვენები (რაც აკლია, წაშლილია და რაზეც არ არის საუბარი);
- წაახალისეთ ისინი ჩაიწერონ არა მხოლოდ ფაქტები, არამედ ემოციური რეაქციები და გაჩენილი კითხვებიც.

ვიზიტის შემდეგ (შეჯამება):

- თითოეული ჯგუფი უზიარებს კლასს ერთ ან ორ მაგალითს, რომელიც დააფიქსირა და აკავშირებს ამ ფაქტებს ამ ჯგუფისთვის განსაზღვრულ უფლებებთან;
- ჩაატარეთ საკლასო დისკუსია უფრო ფართო ტენდენციებზე:
    - თქვენთვის მოცემული რომელი უფლებები იყო ყველაზე მკაფიოდ წარმოჩენილი ან დარღვეული ადგილზე?
    - იყო თუ არა უფლებები, რომელთა ამოცნობაც შედარებით რთული აღმოჩნდა? რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?
    - როგორ უწყობდა ხელს სამართლებრივი ზომები ამ უფლებების შეზღუდვას ან უარყოფას?
    - რას გვასწავლის ეს მაგალითები დღეს უფლებების დაცვის მნიშვნელობის შესახებ?
- სთხოვეთ მოსწავლეებს, რომ საბოლოო რეფლექსია ინდივიდუალურად დაწერონ ცოდნის განსამტკიცებლად.

როდესაც მოსწავლეები მემორიალს მხოლოდ დამკვირვებლის როლში სტუმრობენ, ამ ადგილის დატოვების შემდეგ მათი გამოცდილება სწრაფად უფერულდება. მაგრამ როდესაც ისინი ამ ყველაფერს ადამიანის უფლებების ჩარჩოში განიხილავენ, ვიზიტი არჩევანის, შედეგებისა და ღირებულებების აქტიურ შესწავლად იქცევა. ეს მათ აძლევს შესაძლებლობას დაინახონ კავშირი წარსულსა და აწმყოს შორის, დასვან კითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეუძლია კანონებსა და ინსტიტუციებს ადამიანის ღირსების დაცვა ან განადგურება და გააცნობიერონ საკუთარი როლი უფრო სამართლიანი საზოგადოების ჩამოყალიბებაში. ფოკუსის ასეთი ცვლილება ვიზიტს კრიტიკული აზროვნების, ემპათიისა და ხანგრძლივი სამოქალაქო პასუხისმგებლობის კატალიზატორად გარდაქმნის.

სამუშაო ფურცელი: ადამიანის უფლებებზე დაკვირვების გზამკვლევი მემორიალში/მუზეუმში ვიზიტისთვის

ადგილზე ან მუზეუმში გადაადგილებისას ყურადღება გაამახვილეთ თქვენთვის მოცემულ ადამიანის უფლებებზე. ჩაინიშნეთ რასაც დაინახავთ, მოისმენთ ან იგრძნობთ თითოეულ ამ უფლებასთან დაკავშირებით. დაფიქრდით ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე:

- დაირღვა ან შეიზღუდა თუ არა, თუ (იშვიათ შემთხვევებში) დაცული იყო ეს უფლება?
- რომელი მტკიცებულება (ისტორიები, ნივთები, ჩვენებები, კანონები, გამოსახულებები) აჩვენებს ამას?
- როგორ აისახა ეს დარღვევები ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაზე?
- რა გაკვეთილები შეიძლება მივიღოთ დღევანდელი დღისთვის?

ადამიანის უფლებები	**რას დავაკვირდი? (ნივთები, ჩვენებები, გამოფენები, მემორიალის ცალკეული ელემენტები, გამოტოვებული რაღაცები)**	**გავლენა ადამიანებზე იმ დროს (როგორ შეიცვალა მათი ცხოვრება ან როგორ შეილახა ღირსება)**	**პერსონალური რეფლექსია (რა გავლენა მოახდინა ამან ჩემზე? რა კითხვებს აჩენს ეს დღეს?)**
1. დისკრიმინაციისგან თავისუფლება			
2. ოჯახური ცხოვრების უფლება			
3. ინფორმაციის უფლება			
4. სამართლიანი სასამართლოს უფლება			
5. ჯანმრთელობის დაცვის უფლება			

საბოლოო რეფლექსია:

- რომელი უფლება გამოიკვეთა ყველაზე მკაფიოდ ვიზიტის დროს? რატომ?
- როგორ უკავშირდება ეს დაკვირვებები ადამიანის ღირსებისა და ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელობას დღეს?

B. ისტორიასთან კავშირის დამყარება პირადი ისტორიების მეშვეობით

ჰოლოკოსტის ისტორიასთან შინაარსიანი და პირადი კავშირის დასამყარებლად პედაგოგს შეუძლია მოსწავლეებს შესთავაზოს ჰოლოკოსტის შედეგად დაზარალებული ერთი კონკრეტული ადამიანის ისტორიის შესწავლა. საუკეთესო შემთხვევაში, ამ ადამიანის ასაკი ახლოს იქნება მოსწავლეების ასაკთან, მისი წარმოშობის ადგილი ან ინტერესები მოსწავლეთა მსგავსი იქნება. პირადი მონათხრობით - ვიდეო, აუდიო თუ წერილობითი ფორმით, სწავლა ეფუძნება იმ რეალური ადამიანების გამოცდილებას, რომლებმაც პირადად განიცადეს ის, რის ფიზიკურ კვალსაც მოსწავლეები იხილავენ ვიზიტის დროს. მოსწავლეები გაეცნობიან ამ ადამიანის ცხოვრებას ჰოლოკოსტის წინ, ჰოლოკოსტის დროს და, თუ შესაძლებელია, შემდეგაც. ისინი დააკვირდებიან, თუ როგორ ეტაპობრივად იზღუდებოდა მისი უფლებები და თავისუფლებები. მოსწავლეები ასევე ნახავენ, თუ როგორ უშუალოდ აისახებოდა ცალკეული ადამიანების ცხოვრებაზე პოლიტიკოსებისა და ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებები, რაც თვალსაჩინოდ წარმოაჩენს კავშირს აბსტრაქტულ კანონებსა (მაგალითად, ნიურნბერგის კანონები) და პოლიტიკას და ყოველდღიურ არსებობაზე მათ კონკრეტულ გავლენას შორის. ასეთი ინტეგრირებული მიდგომა გვიჩვენებს, თუ რამხელა ძალა აქვს ცალკეული ადამიანების პერსონალურ ისტორიებს: ფართო ისტორიული პროცესები ხელშესახებად იქცევა ერთი ადამიანის გამოცდილების მეშვეობით. მემორიალის ან მუზეუმის მონახულებისას მოსწავლეებს შეუძლიათ მოძებნონ იმ კონკრეტული მოვლენების, ადგილების ან გამოცდილებების მინიშნებები, რომლებიც ერთი კონკრეტული ადამიანის ისტორიას უკავშირდება, რითაც მათი ჩართულობა და ემპათია კიდევ უფრო გაღრმავდება.

ერთ-ერთი ძლიერი ინსტრუმენტი პირადი ისტორიებისა და ადგილების დასაკავშირებლად არის რესურსი IWalk[3] — ინტერაქციული ციფრული საგანმანათლებლო პროგრამა, რომლიც შექმნილია Zachor Foundation-ის მიერ USC Shoah Foundation-თან თანამშრომლობით. იგი გადარჩენილთა ჩვენებებს კონკრეტულ ისტორიულ ადგილებთან აკავშირებს, რაც მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს კავშირი დაამყარონ ისტორიასთან იმ ადგილას, სადაც ეს ისტორია იწერებოდა. როდესაც მოსწავლეები გადარჩენილთა ისტორიებს უშუალოდ იმ ადგილას ისმენენ, სადაც მოვლენები ვითარდებოდა, მათ უფრო საფუძვლიანად ესმით, თუ როგორ აისახება ისტორია კონკრეტული ადამიანების ცხოვრებაზე და ამავე დროს მკაფიოდ გაიაზრებენ მეხსიერებისა და ადამიანის ღირსების მნიშვნელობას.

ქვემოთ მოცემულია რეკომენდაციები პირადი ისტორიების გამოსაყენებლად ვიზიტის ფარგლებში. ეს რეკომენდაციები დაეხმარება მოსწავლეებს კონკრეტული ადამიანების ცხოვრება ზოგად ისტორიულ მოვლენებს დაუკავშირონ.

ვიზიტამდე:

შესთავაზეთ მოსწავლეებს ჰოლოკოსტის შედეგად დაზარალებული ერთი ადამიანის ისტორიის გაცნობა. ეს შეიძლება განხორციელდეს დღიურის, მემუარების, ამ ადამიანთან ინტერვიუს ვიდეოჩანაწერის, მხატვრული ნაწარმოების ან ისტორიული კვლევის საშუალებით. არ არის აუცილებელი, რომ ეს ადამიანი უშუალოდ იყოს წარმოდგენილი იმ მემორიალსა თუ მუზეუმში, რომელსაც ესტუმრებით (საუკეთესი შემთხვევაა, თუ ეს შესაძლებელია), მაგრამ აუცილებელია იყოს არსებითი კავშირი. მაგალითად, ეს ადამიანი შეიძლება ცხოვრობდა იმავე რეგიონში, განიცდიდა მსგავს შეზღუდვებს ან აღმოჩნდა იმ კანონებისა და პოლიტიკის გავლენის ქვეშ, რომლებსაც მუზეუმი ასახავს.

წაახალისეთ მოსწავლეები ყურადღება გაამახვილონ ყოველდღიურ დეტალებზე: როგორი იყო ამ ადამიანის ოჯახი? რის კეთება უყვარდა? რა იმედები ჰქონდა მომავალთან დაკავშირებით? შემდეგ დაეხმარეთ მათ გაიაზრონ, თუ როგორ ნელ-ნელა ამცირებდა ამ ადამიანის უფლებებსა და შესაძლებლობებს პოლიტიკური გადაწყვეტილებები და დისკრიმინაციული კანონები.

მოსწავლეებს შეუძლიათ იმუშაონ წყვილებში ან მცირე ჯგუფებში საერთო ისტორიაზე, ან იმუშაონ ინდივიდუალურად. ჯგუფური მუშაობა ხელს უწყობს თანამშრომლობას, ემპათიასა და ჯგუფურ გააზრებას, ასევე წაახალისებს დისკუსიას, რაც აღრმავებს ცოდნას. ინდივიდუალური მუშაობა კი, მეორე მხრივ, საშუალებას აძლევს მოსწავლეებს უფრო პირადი კავშირი დაამყარონ ისტორიასთან და ჰქონდეთ სივრცე უფრო სიღრმისეული თვითრეფლექსიისთვის. პედაგოგს შეუძლია აირჩიონ ის მიდგომა, რომელიც ყველაზე უკეთ შეესაბამება მისი მოსწავლეების საჭიროებებს, განვითარების დონეს და ვიზიტის მიზნებს.

3 ამ საგანმანათლებლო რესურსის გადმოწერა უფასოა Apple App Store-დან ან Google Play Store-დან დასახელებით *IWalk – Zachor.*

ვიზიტის დროს:

სთხოვეთ მოსწავლეებს გაიხსენონ ამ ადამიანის ისტორია, როდესაც მემორიალს ან მუზეუმს დაათვალიერებენ. მიეცით მათ *პირად ისტორიაზე დაკვირვების ფურცელი*, რათა შეძლონ კონკრეტული კავშირების ჩანიშვნა. შეახსენეთ მათ, რომ კავშირები შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი (მაგ. გეტო, დეპორტაცია ან მოვლენა, რომელიც ამ ადამიანის ისტორიას ჰგავს), ასევე ირიბი (მაგ. ექსპოზიციები კანონების, პოლიტიკის ან საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ, რომლებმაც ამ ადამიანის გამოცდილებაზე იქონია გავლენა). ეს მიდგომა ვიზიტს ორმხრივ პროცესად აქცევს: მემორიალი ან მუზეუმი პირადი ისტორიის უფრო სიღრმისეულ გააზრებას უწყობს ხელს, ხოლო კონკრეტული ადამიანის ისტორია მოსწავლეებს ეხმარება მემორიალთან ან მუზეუმთან უფრო შინაარსიანი კავშირი დაამყარონ.

ვიზიტის შემდეგ (შეჯამება):

დაეხმარეთ მოსწავლეებს გაიაზრონ მათ მიერ შემჩნეული კავშირები. ქვემოთ მოცემულია სავარაუდო კითხვები:

- მუზეუმის ან მემორიალის რომელი ნაწილი დაგეხმარათ ამ ადამიანის ისტორიის უკეთ გაგებაში?
- რა შეამჩნიეთ ისეთი, რაც ირიბად უკავშირდებოდა მის გამოცდილებას (კანონები, შეზღუდვები, ყოველდღიური ცხოვრება, დისკრიმინაცია)?
- როგორ შეცვალა მემორიალის ან მუზეუმის ნახვამ თქვენი დამოკიდებულება ამ ადამიანის ცხოვრების მიმართ?
- რა კითხვები გაგიჩნდათ მისი ცხოვრების ან არჩევანის შესახებ ვიზიტის დროს?
- რას გვასწავლის მისი გამოცდილება ღირსების, უფლებებისა და ხსოვნის მნიშვნელობის შესახებ დღეს?

ნასწავლის გასამყარებლად სთხოვეთ მოსწავლეებს დაწერონ რეფლექსია ან შეასრულონ შემოქმედებითი დავალება (მაგალითად, მოკლე ჩანაწერი ჟურნალში, ნახატი, ლექსი და სხვ.). ეს უზრუნველყოფს ფოკუსის შენარჩუნებას გააზრებასა და სამოქალაქო პასუხისმგებლობაზე.

სამუშაო ფურცელი: პირად ისტორიაზე დაკვირვების ფურცელი

ვიზიტამდე

ადამიანის სახელი:

ასაკი ჰოლოკოსტის პერიოდში:

ქვეყანა/რეგიონი:

1. სამი რამ, რაც გავიგე ამ ადამიანის ცხოვრების შესახებ ჰოლოკოსტამდე:

-

-

-

2. რა დაემართა ამ ადამიანს ჰოლოკოსტის დროს?

3. როგორ წაართვეს ამ ადამიანს უფლებები და თავისუფლებები?

4. რა მოხდა შემდგომ (თუ ასეთი ინფორმაცია არსებობს)?

ვიზიტის დროს

რა ვნახე მემორიალში/მუზეუმში, რამაც ამ ადამიანის ისტორია მომაგონა (ადგილები, ნივთები, ფოტოები, დოკუმენტები)?	
იყო თუ არა აქ იმის მაგალითები, თუ როგორ ჩამოართვეს, შეზღუდეს ან დაიცვეს ამ ადამიანის უფლებები და ღირსება?	
შევამჩნიე თუ არა რაიმე ისეთი, რაც ახსნის, როგორ აისახებოდა ამ ადამიანის ცხოვრებაზე პოლიტიკური გადაწყვეტილებები და კანონები?	
არიან თუ არა ნახსენები ადამიანები, რომლებიც დაეხმარნენ, წინააღმდეგობას უწევდნენ რეჟიმს ან განსხვავებული არჩევანი გააკეთეს ამ ისტორიასთან დაკავშირებით?	
იყო თუ არა რაიმე ისეთი, რასაც ველოდი, რომ ვნახავდი ამ ისტორიასთან დაკავშირებით, მაგრამ არ მინახავს? რატომ შეიძლება არ ყოფილიყო ან გამოტოვებული ყოფილიყო ეს?	
ამ ადგილას ყოფნამ როგორ შეცვალა ან გააღრმავა ჩემი წარმოდგენა ამ ადამიანის გამოცდილების შესახებ?	
რა ემოციები ან კითხვები გამიჩნდა ამ ადამიანზე ფიქრისას ვიზიტის დროს?	

C. ადამიანის ქცევის შესწავლა ჰოლოკოსტის დროს

სხვადასხვა ადამიანის ქცევის შესწავლა ჰოლოკოსტის პერიოდში (ეხმარებოდნენ სხვებს, დუმდნენ, წინააღმდეგობას უწევდნენ უსამართლობას თუ ზიანს აყენებდნენ სხვებს) მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს გასცდნენ ისტორიულ ფაქტებს და დაფიქრდნენ იმ პირად არჩევანზე, რომლის წინაშეც ადამიანები იდგნენ უკიდურეს გარემოებებში. მნიშვნელოვანია იმის აღიარება, რომ ასეთი გადაწყვეტილებები ხშირად მიიღებოდა მკაცრი შეზღუდვებისა პირობებში, როდესაც რეალური არჩევანი თითქმის არ არსებობდა, რაც ცნობილია, როგორც „არჩევანი არჩევანის გარეშე“. როდესაც მოსწავლეები ფიქრობენ ადამიანების მოქმედებებზე რწმენების, ღირებულებების, ზეწოლისა და რეალური ალტერნატივების არარსებობის გავლენაზე, ისინი კარგად იაზრებენ ადამიანის ქცევის სირთულეს. ეს მიდგომა აჩენს მნიშვნელოვან კითხვებს: ვისი უფლებები დაირღვა? ვინ ცდილობდა ამ უფლებების დაცვას? ვინ მიაყენა ზიანი და ვინ დარჩა პასიური? ასეთი გააზრება დაეხმარება მოსწავლეებს დაამყარონ კავშირი წარსულსა თანამედროვე რეალობას შორის და აძლიერებს ემპათიასა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის განცდას. ამ აქტივობისთვის მე-3 დანართში წარმოდგენილია დამხმარე მასალა ნიმუშის სახით.

წინააღმდეგობის გამწევი და დამხმარე ადამიანების არსებობა ჰოლოკოსტის დროს შეგვახსენებს, რომ უმძიმეს პერიოდებშიც კი ცალკეულ ადამიანებს შეეძლოთ ემოქმედათ გამბედაობით, თანაგრძნობითა და სამართლიანობის განცდით. მათი გადაწყვეტილებები: ადამიანების დამალვა, ხმის ამაღლება, კულტურისა და ღირსების დაცვა გვიჩვენებს, რომ პირად არჩევანს ყოველთვის აქვს მნიშვნელობა. ამ ქმედებების შესახებ ინფორმაციის მიღება მოსწავლეებს შთააგონებს დაფიქრდნენ საკუთარ ღირებულებებზე და იმაზე, თუ როგორ შეუძლიათ მათაც სხვების მხარდაჭერა და პასუხისმგებლობის აღება საკუთარ საზოგადოებაში. ეს ისტორიები წაახალისებს ახალგაზრდებს იქცნენ აქტიურ მოქალაქეებად, რომელთაც სურთ წინ აღუდგნენ უსამართლობას და დაიცვან ადამიანის ღირსება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დამკვირვებლების როლზე დაფიქრება და მათი არჩევანის გავლენის გააზრება. დიდი ხნით ადრე, სანამ ჰოლოკოსტი ყველაზე ძალადობრივ ეტაპებს მიაღწევდა, უკვე ჩანდა აშკარა გამაფრთხილებელი ნიშნები, მაგალითად, წიგნების საჯარო დაწვა, საჯარო დამცირება და კანონები, რომლებიც ებრაელებს უფლებებს ართმევდა. შემდგომში დევნა დაიწყო ადგილობრივი მოსახლეობის თვალწინ. მეზობლები ხედავდნენ, რაც ხდებოდა: ზოგმა სარგებელი ნახა ამ სიტუაციაში, ბევრმა დუმილი არჩია, ხოლო ზოგიერთმა ადამიანმა დიდი გამბედაობა გამოავლინა დახმარების სახით. მოსწავლეთა წახალისება გაიაზრონ ეს არჩევანი ეხმარება მათ გაიგონ, თუ როგორ შეიძლება დისკრიმინაცია და ძალადობა ნელ-ნელა „ნორმად“ იქცეს და რატომ არის მნიშვნელოვანი ასეთი პროცესების ამოცნობა და წინააღმდეგობის გაწევა ნებისმიერ საზოგადოებაში დღეს.

ანტისემიტიზმმა გადამწყვეტი როლი შეასრულა იმ გარემოს ფორმირებაში, რომელშიც ადამიანები არჩევანს აკეთებდნენ. ნაცისტური პროპაგანდა მხოლოდ სიძულვილსა და სტერეოტიპებს კი არ ავრცელებდა, არამედ არსებულ ცრურწმენებსაც აძლიერებდა, რაც ზოგიერთ ადამიანს გულგრილობისა და უმოქმედობის გამართლებას უმარტივებდა. სხვები შესაძლოა თავად არ იზიარებდნენ ანტისემიტურ განწყობებს, მაგრამ ასეთი პროპაგანდის დამაჯერებლობა და მტრულ გარემოში ხმის ამაღლების შიში ხელს უშლიდათ ჩარევაში. ანტისემიტიზმის გავრცელების, მისი ნორმად და იარაღად ქცევის შესწავლა მოსწავლეებს დაეხმარება უკეთ გაიაზრონ როგორც ცრურწმენების ძალა, ისე უსამართლობის წინაშე დუმილის საფრთხეები.

უფრო მეტიც, იმის გააზრება, თუ როგორ იქცნენ ჩვეულებრივი ადამიანები დამნაშავეებად უმნიშვნელოვანესია, რათა გავიგოთ, თუ რა მექანიზმებით ხდება შესაძლებელი მასობრივი ძალადობა. ძალადობის, დისკრიმინაციისა და მკვლელობების განმახორციელებლები ყოველთვის ფანატიკოსები ან იდეოლოგები არ იყვნენ, მრავალი მათგანი ჩვეულებრივი ადამიანი იყო, რომელიც, დროთა განმავლობაში, თანამონაწილედ იქცა სისტემურ სისასტიკეში. პროპაგანდის, სოციალური კონფორმიზმის, ავტორიტეტისადმი მორჩილების, იდეოლოგიური ზეწოლისა და შიშის გავლენით მათ დაიწყეს მსხვერპლის ადამიანზე ნაკლებ არსებად დანახვა. სთხოვეთ მოსწავლეებს დაფიქრდნენ, თუ როგორ შეიძლებოდა ეს გარდაქმნა მომხდარიყო და რა სოციალური, პოლიტიკური და პირადი ფაქტორები უწყობდა ხელს მორალური პასუხისმგებლობის თანდათანობით მოშლას. ამ სირთულის გააზრება შესაძლებლობას მისცემს მოსწავლეებს დაინახონ, რომ სისასტიკის პოტენციალი ჩვეულებრივ გარემოებებშიც არსებობს და რომ ადამიანის უფლებებისა და ადამიანის ღირსების პატივისცემა გადამწყვეტია მსგავსი უსამართლობის თავიდან ასაცილებლად.

ქვემოთ მოცემულია რეკომენდაციები მასწავლებლებისათვის, თუ როგორ უნდა მოაქციონ ვიზიტი ადამიანის არჩევანისა და ქცევის ჭრილში - წინააღმდეგობიდან თანამონაწილეობამდე.

ვიზიტამდე:

მოსწავლეების მოსამზადებლად წარადგინეთ აზრი, რომ ჰოლოკოსტის დროს ადამიანებს სრულიად განსხვავებული ტიპის გადაწყვეტილებების მიღება უხდებოდათ. მსხვერპლისთვის ეს ხშირად იყო „არჩევანი არჩევანის გარეშე“, ე. ი. გადაწყვეტილებების მიღება უკიდურესი ზეწოლის პირობებში, როდესაც არცერთი არსებული ვარიანტი არ იყო კარგი ან რეალურად თავისუფალი. ამავდროულად, სხვებს მაინც ჰქონდათ ნების გამოვლენის გარკვეული შესაძლებლობა: ზოგიერთი იქცა დამნაშავედ ან თანამშრომლობდა ნაცისტურ რეჟიმთან, ზოგიერთი დარჩა პასიურ დამკვირვებლად, ხოლო ზოგიერთი რისკავდა და წინააღმდეგობას უწევდა რეჟიმს ან ეხმარებოდა ადამიანებს. ადამიანის ქცევის სირთულეზე ყურადღების გასამახვილებლად წარადგინეთ სხვადასხვა ჩამოთვლილი ჯგუფის ადამიანების მოკლე ისტორიები ან მათი ჩვენებები. სთხოვეთ მოსწავლეებს შემდეგ საკითხებზე დაფიქრება:

- რა რისკებმა ან ზეწოლამ განსაზღვრა ადამიანების გადაწყვეტილებები?
- რომელ შემთხვევებში იყო ადამიანების არჩევანი შეზღუდული და რომელში რჩებოდა განსხვავებულად მოქმედების შესაძლებლობა?
- რა ადრეული გამაფრთხილებელი ნიშნები (კანონები, დამცირება, შეზღუდვები) ჩანდა მეზობლებისა და საზოგადოებისათვის და როგორ რეაგირებდნენ ისინი?

ვიზიტის დროს:

მიეცით მოსწავლეებს სამუშაო ფურცელი: *დაკვირვების გზამკვლევი - ადამიანის ქცევა ჰოლოკოსტის დროს* და სთხოვეთ მემორიალსა თუ მუზეუმში მოძებნონ მაგალითები, რომლებიც ასახავს ადამიანის ქცევის სხვადასხვა ფორმებს ჰოლოკოსტის დროს. ეს შეიძლება იყოს ჩვენებები, ფოტოები, არტეფაქტები ან ექსპონატები, რომლებიც უკავშირდება წინააღმდეგობას, თანამშრომლობას, დუმილს ან სხვა ადამიანების გადარჩენას. მოსწავლეებმა უნდა ჩაინიშნონ რაც წარმოდგენილია, ასევე ის, რაც შეიძლება აკლდეს ან გამოტოვებული იყოს ექსპოზიციაში. საკმარისი დროის შემთხვევაში მათ შეუძლიათ გადაიღონ ფოტოები (თუ ეს ნებადართულია მუზეუმში ან მემორიალში) ან გააკეთონ ჩანახატები.

ვიზიტის შემდეგ:

შესაჯამებლად სთხოვეთ მოსწავლეებს მათი დაკვირვებების გაზიარება და სასწავლო გამოცდილების დაკავშირება დღევანდელობასთან. შესაძლო კითხვებია:

- რა ქცევა ან არჩევანი შენიშნეთ, რომ აღწერილი იყო მემორიალზე/მუზეუმში (დახმარება, ზიანის მიყენება, წინააღმდეგობა, დუმილი)?
- რა გრძნობა გაგიჩნდათ, როდესაც ამ ქცევების შესახებ გაიგეთ?
- რა აზრები ან კითხვები გაგიჩნდათ ამ მაგალითებიდან გამომდინარე?
- ნახეთ თუ არა შემთხვევები, როდესაც ადამიანებს ჰქონდათ „არჩევანი არჩევანის გარეშე“? რით განსხვავდებოდა ასეთი შემთხვევები ისეთი სიტუაციებისგან, როდესაც ადამიანებს განსხვავებულად მოქმედების შესაძლებლობა ჰქონდათ?
- როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ, პროპაგანდა, კანონები ან საზოგადოებრივი ზეწოლა რა გავლენას ახდენდა ადამიანების გადაწყვეტილებებზე?
- რა როლს ასრულებდნენ დამკვირვებლები იმ მოვლენებში, რომლებიც შეისწავლეთ და რა შედეგი ჰქონდა მათ ქმედებებს (ან უმოქმედობას)?
- როგორ გეხმარებათ ამ არჩევანის გააზრება თანამედროვე დისკრიმინაციისა და უსამართლობის მსგავსი პროცესების უკეთ გაგებაში?
- რა კავშირები შეგიძლიათ დაინახოთ ისტორიულ მაგალითებსა და იმ ღირებულებებსა და პასუხისმგებლობებს შორის, რომლებიც ჩვენს სკოლებში, თემებსა და საზოგადოებაში გვაქვს?

სამუშაო ფურცელი: დაკვირვების გზამკვლევი - ადამიანის ქცევის შესწავლა ჰოლოკოსტის დროს

არჩევანი და გარემოებები

ადამიანის ქცევის ტიპი	რას დავაკვირდი? (ნივთები, ჩვენებები, ისტორიები, გამოსახულებები)	რა ზეწოლას, რისკებს ან ღირებულებებს შეეძლო გავლენის მოხდენა ამ ქმედებებზე?	ადამიანის რომელი უფლებები შეილახა მათი ქმედებებით?	რეფლექსია / კავშირები დღევანდელობასთან
გადამრჩენები / დამხმარეები – ადამიანები, რომლებმაც რისკზე წავიდნენ სხვების დასაცავად ან მხარდასაჭერად				
მებრძოლები (წინააღმდეგობის გამწევები) - ისინი, ვინც მნიშვნელოვნად ან მცირედით დაუპირისპირდა უსამართლობას (მაგ. პროტესტი, კულტურის შენარჩუნება)				
დამკვირვებლები – ადამიანები, რომლებიც დუმდნენ, თვალს არიდებდნენ მოვლენებს ან ეგუებოდნენ დისკრიმინაციას				
დამნაშავეები / თანამშრომლები (თანამზრახველები) – ადამიანები, რომლებიც უშუალოდ ახორციელებდნენ ან მხარს უჭერდნენ დევნასა და ძალადობას				
საფრთხის ნიშნები – ადრეული შეზღუდვების, დამცირებების ან პროპაგანდის მტკიცებულებები, რომლებმაც დისკრიმინაცია „ნორმად“ აქცია				

D. გააზრების თემატური მიმართულება

მემორიალური ადგილებისა და მუზეუმების შესწავლის ერთ-ერთი კარგი მეთოდია მოსწავლეების წახალისება, რომ ისტორია შერჩეული თემების მეშვეობით გამოიკვლიონ. თემაზე მუშაობა ეხმარება მოსწავლეებს ყურადღების ფოკუსირებაში, უფრო მიზანმიმართულ დაკვირვებასა და კრიტიკულ ჩართულობაში იმ ყველაფერთან დაკავშირებით, რასაც ისინი ადგილზე ნახულობენ. თემები შეიძლება მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

- **წინააღმდეგობა (სულიერი და ფიზიკური):** დაუმორჩილებლობის, გადარჩენისა და ღირსების შენარჩუნების აქტები, როგორც შეიარაღებული წინააღმდეგობის, ისე კულტურული და სულიერი გამძლეობის გზით.
- **ყოველდღიური ცხოვრება:** როგორ ირღვეოდა, გარდაიქმნებოდა ან ადაპტირდებოდა ჩვეულებრივი ცხოვრების რიტმი დევნისა და ჩაგვრის პირობებში.
- **კანონი და გარიყვა:** კანონებისა და რეგულაციების როლი (მაგ. ნიურნბერგის კანონები და მსგავსი კანონები სხვა ქვეყნებში) ადამიანებისთვის უფლებების ჩამორთმევასა და დისკრიმინაციის ლეგიტიმაციაში.
- **პროპაგანდა და ანტისემიტიზმი:** როგორ აღვივებდა ანტისემიტური გამოსახულებები, სტერეოტიპები და სახელმწიფოს მიერ მართული პროპაგანდა სიძულვილს და ამართლებდა გარიყვას და ძალადობას.
- **ხსოვნა და მეხსიერება:** როგორ გამოხატავენ მსხვერპლთა ხსოვნას დღეს, რომელი ნარატივებია გამოყოფილი და როგორ ირჩევენ საზოგადოებები ამ ისტორიის წარმოჩენას.

მასწავლებლებს შეუძლიათ დაამატონ ან შეცვალონ თემები იმ მემორიალური ადგილის ან მუზეუმის შესაბამისად, რომლის მონახულებასაც გეგმავენ, მოსწავლეების ასაკისა და განვითარების დონის, ასევე სასწავლო მიზნების გათვალისწინებით.

მოსწავლეების დაყოფა შეიძლება მცირე ჯგუფებად, რომელთაგან თითოეული მიიღებს განსხვავებულ თემას. მემორიალში ან მუზეუმში გადაადგილებისას ისინი აკვირდებიან, აკეთებენ ჩანაწერებს და, თუ ნებადართულია, იღებენ ფოტოებს თემის ირგვლივ. ამ მიდგომაში შეიძლება ვიზუალური კვლევის ჩართვაც. მაგალითად, მოსწავლეებს შეუძლიათ ისტორიული ფოტოების შედარება დღევანდელ ადგილთან და დაფიქრება, თუ რა შეიცვალა ან რა აკლია: დაკარგული ადამიანები, განადგურებული შენობები, დადუმებული ხმები, ან კონტრასტი წარსულის ძალადობრივ და დღეს არსებულ მშვიდ გარემოს შორის და სხვა. უფროსი ან უფრო ძლიერი მოსწავლეებისთვის შეიძლება ორგანიზებული ტურის შექმნის დავალება - მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი დეტალების გადაღება და ადგილის ისტორიის აღდგება მათი პერსპექტივიდან.

თემატური კვლევის ადამიანის უფლებებთან დაკავშირება აღრმავებს კვლევის გავლენას: მოსწავლეები ხედავენ, თუ როგორ გამოვლინდა წარსულში დისკრიმინაცია, დუმილი, ანტისემიტიზმი ან სოლიდარობა და აანალიზებენ ამ საკითხების მნიშვნელობას დღევანდელობაშიც.

ქვემოთ წარმოდგენილია ერთ-ერთი შესაძლო გზა ასეთ აქტივობაზე მოსწავლეების მოსამზადებლად და აქტივობის განსახორციელებლად:

ვიზიტამდე:

- გააცანით მოსწავლეებს შერჩეული თემა/თემები (იხ. სია ზემოთ). შესავლის გაკეთება შეიძლება მოკლე საკითხავი ტექსტით, გადარჩენილთა ჩვენებებით, ვიზუალური მასალებით ან საკლასო დისკუსიით, რომელიც აღძრავს ინტერესს და თავდაპირველად გააცნობს თემას მოსწავლეებს.

- მიეცით ზოგადი ხასიათის ინფორმაცია ან მაგალითები თითოეული თემისთვის, რათა მოსწავლეებმა გაიგონ, თუ რას მიაქციონ ყურადღება ვიზიტის დროს.
- დაყავით მოსწავლეები მცირე ჯგუფებად და განუსაზღვრეთ თემა ან მიეცით თემის არჩევის შესაძლებლობა.

ვიზიტის დროს:

- თითოეულ ჯგუფს მიეცით სამუშაო ფურცელი *„დაკვირვება თემატურ მიმართულებებზე“*, რომელიც მათ უნდა შეავსონ მემორიალში ან მუზეუმში გადაადგილებისას.
- სთხოვეთ მოსწავლეებს, რომ დაკვირვებებთან ერთად თემასთან დაკავშირებული ფიქრები და განცდებიც ჩაიწერონ. სამუშაო ფურცლის შევსების გარდა, მათ შეუძლიათ გადაიღონ ფოტოები (თუ ნებადართულია) ან დახატონ მნიშვნელოვანი ელემენტები, რომელსაც ვიზიტის შემდეგ გამართულ პრეზენტაციაზე გაუზიარებენ თანაკლასელებს.
- შეახსენეთ მოსწავლეებს, რომ „მტკიცებულება“ შეიძლება იყოს პირდაპირი (ნივთები, ჩვენებები, გამოფენები) და ირიბი (დაკარგული, წაშლილი ან უთქმელი დეტალები).
- სურვილის შემთხვევაში, გაუზიარეთ მოსწავლეებს ადგილის ისტორიული ფოტოები მათ თემასთან დაკავშირებით, თუ ასეთი ფოტოები არსებობს. თუ გადაღება ნებადართულია, წაახალისეთ ისინი გადაიღონ ფოტოები ისტორიული ფოტოს მსგავსი კუთხიდან და დაფიქრდნენ, რა შეიცვალა ან რა გაქრა დროთა განმავლობაში. წარსულისა და აწმყოს ფოტოების შედარება ამდიდრებს გამოცდილებას, თუმცა სავალდებულო არ არის - თემატური კვლევა ფოტოების გარეშეც წარმატებით ხორციელდება.

ვიზიტის შემდეგ (შეჯამება):

- თითოეული ჯგუფი უზიარებს კლასს თავის მიგნებებს, გააზრების ილუსტრაციისთვის ჩანაწერებისა და ფოტოების გამოყენებით.
- წარმართეთ დისკუსია შემდეგი შეკითხვების დახმარებით:
    - რა გამოავლინა თქვენმა თემამ ადამიანების ცხოვრების, უფლებებისა და ღირსების შესახებ?
    - რა კავშირები შენიშნეთ თქვენს თემასა და სხვა ჯგუფების თემებს შორის?
    - როგორი გავლენა მოახდინა წარსულის აწმყოსთან შედარებამ (ფოტოები, ცვლილებები) გააზრებაზე?
    - რას გვასწავლის თქვენი თემა დღეს ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ?
    - როგორ დაგეხმარათ თქვენი თემა ანტისემიტიზმის - მისი მიზეზების, შედეგებისა და წარსული გამოვლინების გაგებაში?
    - რა კავშირებს ხედავთ ჰოლოკოსტის დროინდელ ანტისემიტიზმსა და დღევანდელ ანტისემიტიზმს შორის?
- წაახალისეთ მოსწავლეები შექმნან მოკლე ერთობლივი ნამუშევარი (პლაკატი, ციფრული სლაიდების პრეზენტაცია ან წერილობითი რეფლექსია), რათა გაამყარონ და გაუზიარონ ნასწავლი სხვებს.

სამუშაო ფურცელი: დაკვირვება თემატურ მიმართულებებზე

ჯგუფის თემა: _____

მიმართულების მიმცემი კითხვები	დაკვირვებები (რა ვნახეთ/ მოვისმინეთ)	რეფლექსია (რა გავიფიქრეთ/ ვიგრძენით)
რას დავაკვირდით (საგნები, ისტორიები, სივრცეები, ფოტოები, დოკუმენტები)		
რა აკლდა, წაშლილი იყო ან არ ითქვა		
თუ ჯგუფმა შეადარა ფოტოები „წარსულში და ახლა“, ჩამოთვალეთ ყველაზე შესამჩნევი ცვლილებები		
როგორ წარმოაჩინა ამ თემამ ანტისემიტიზმის, დისკრიმინაციის ან ღირსების დაკარგვის გავლენა ადამიანების ცხოვრებაზე იმ პერიოდში?		
რას გვასწავლის ეს თემა დღეს - ანტისემიტიზმზე, ადამიანის უფლებებზე ან იმაზე, თუ როგორ ეპყრობიან ადამიანები ერთმანეთს?		

დამატებითი რესურსები

1. European Union Agency for Fundamental Rights. (2011). *Human Rights Education at Holocaust Memorial Sites across the European Union: An Overview of Practices* Available at: https://fra.europa.eu/sites/default/files/fra_uploads/1790-FRA-2011-Holocaust-education-overview-practices_EN.pdf

2. European Union Agency for Fundamental Rights. (2011). *Discover the Past for the Future: The Role of Historical Sites and Museums in Holocaust Education and Human Rights Education in the EU*. Available at: https://fra.europa.eu/sites/default/files/fra_uploads/1792-FRA-2011-Holocaust-Education-Summary-report_EN.pdf

3. European Network Remembrance and Solidarity (ENRS). *(2024). Preparing students for a visit to a memorial site*. Available at: https://www.youtube.com/watch?v=q9Dw4O3CU3c

4. International Holocaust Remembrance Alliance (2023). *Charter for Safeguarding Sites*. Available at: https://holocaustremembrance.com/resources/ihra-charter-safeguarding-sites

ტერმინთა განმარტება

ისტორიული ადგილი

ადგილი, სადაც წარსულში მნიშვნელოვანი მოვლენები განვითარდა. ჰოლოკოსტის შესახებ განათლების კონტექსტში ასეთი ადგილები მოიცავს გეტოებს, დეპორტაციის პუნქტებს, საკონცენტრაციო ბანაკებს, სიკვდილით დასჯის ადგილებს ან შენობებს, რომლებმაც ცალკეული ადამიანების ან თემების დევნაში გარკვეული როლი შეასრულა.

მემორიალური ადგილი/მემორიალი

სივრცე, რომელიც სპეციალურად არის დაცული ან შექმნილი წარსული სისასტიკის, მათ შორის ჰოლოკოსტის მსხვერპლთა სამახსოვროდ და მათთვის პატივის მისაგებად. ამაში მოიაზრება როგორც დიდი მუზეუმი და ყოფილი ბანაკის კომპლექსი, ისე მცირე მემორიალი, მაგალითად, მემორიალური დაფა ან ძეგლი საჯარო სივრცეში.

განათლება ადამიანის უფლებების შესახებ

საგანმანათლებლო მიდგომა, რომლის მიზანია ყველა ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების გააზრების, პატივისცემისა და დაცვის ხელშეწყობა. ეს მოიცავს სამ დაკავშირებულ მიმართულებას:

- *სწავლა ადამიანის უფლებების შესახებ* - ცოდნის მიღება ადამიანის უფლებების პრინციპების, ისტორიისა და სამართლებრივი საფუძვლების შესახებ.
- *სწავლა ადამიანის უფლებების მეშვეობით* - მონაწილეობაზე, პატივისცემასა და ინკლუზიურობაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდების გამოყენება, რომლებიც ადამიანის უფლებების ღირებულებებს ასახავს.
- *სწავლა ადამიანის უფლებებისთვის* - ადამიანების გაძლიერება, რათა ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოიყენონ ეს ღირებულებები და იმოქმედონ სხვა ადამიანების უფლებებისა და ღირსების დასაცავად.

დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები[4]

ევროსაბჭოს *დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სარეკომენდაციო ჩარჩო* (RFCDC) განსაზღვრავს 20 კომპეტენციის დეტალურ ნაკრებს, რომელიც მოსწავლეებს სჭირდებათ დემოკრატიულ და ინტერკულტურულ საზოგადოებებში ეფექტური მონაწილეობისათვის. ეს კომპეტენციები მოიცავს ღირებულებებს, დამოკიდებულებებს, უნარებს, ცოდნასა და კრიტიკულ გააზრებას. მათ შორის არის: ემპათია, კრიტიკული აზროვნება, მრავალფეროვნების პატივისცემა და სამოქალაქო პასუხისმგებლობა - ე.ი. ის ძირითადი ელემენტები, რომლებიც ზუსტად შეესაბამება ჰოლოკოსტისა და ადამიანის უფლებების შესახებ განათლების მიზნებს.

ფაქტების დამახინჯება ჰოლოკოსტის შესახებ

ნებისმიერი მცდელობა, განზრახ თუ უნებლიედ, გაამართლოს, არასწორად წარმოაჩინოს, დააკნინოს ჰოლოკოსტის ისტორიული ფაქტები ან მანიპულირება მოახდინოს ამ ფაქტებით. ჰოლოკოსტის უარყოფისგან განსხვავებით, ფაქტების დამახინჯება არ გულისხმობს იმის მტკიცებას, რომ ჰოლოკოსტი არ მომხდარა, არამედ ცდილობს მისი რეალობის გაბუნდოვანებას, მასშტაბის შემცირებას, ბრალის სხვაზე გადატანას ან ჰოლოკოსტის მნიშვნელობის სხვა დანიშნულებით გამოყენებას შეუსაბამო პოლიტიკური, იდეოლოგიური თუ კომერციული მიზნებისთვის. ეს შეიძლება სხვადასხვა ფორმით გამოვლინდეს, მათ შორის: მსხვერპლთა რაოდენობის უხეში შემცირებით, ებრაელების დადანაშაულებით საკუთარი თავის დევნაში ან ჰოლოკოსტის „დადებით მოვლენად“ წარმოჩენით დაწყებული, ჰოლოკოსტის ისტორიით მანიპულირების, შეუთავსებელი მოვლენების ჰოლოკოსტთან გაიგივების ან დანაშაულებში თანამონაწილე პირებისა და ინსტიტუციების განდიდების სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი მცდელობებით დასრულებული. ჰოლოკოსტის შესახებ ფაქტების დამახინჯება ძირს უთხრის მსხვერპლთა და გადარჩენილთა ხსოვნას, ამცირებს საზოგადოების მიერ ამ ისტორიის გააზრებას და ხელს უწყობს თანამედროვე ანტისემიტიზმისა და დეზინფორმაციის გავრცელებას.

4 https://www.coe.int/en/web/reference-framework-of-competences-for-democratic-culture/rfcdc-volumes

The PDF version of this publication is freely downloadable at www.tolinstitute.org

This publication was developed with Assistance from the Conference on Jewish Material Claims Against Germany Supported by the German Federal Ministry of Finance.

ועידת התביעות
Claims Conference
Conference on Jewish Material Claims Against Germany

Federal Ministry of Finance